საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდ-ვუნი სიფფეკვაა, ფეფილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 25 მაისი. 2020 წ. №66 (8992) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ხელისუფლებას, ქართულ ბომონდს, ტელეჟურნალისტებს ბეჭდური მედია ფეხებზე ჰკიდიათ! ამიტომაც ბჟუტურებენ ჩიჟორთულად!!!

4

დაწვით მისი ფერფლი

ჟურნალისტ

„გონიერსა მწრთვნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს...“

მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა!

5

რაც ვყოფილვართ, ის ადარ ვართ,
რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით...
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც,
გზად და ხიდად გავედებით“...

ლია სტურუა

ცივილიზებული ცხე...

2

მიხეილ ლაბაძე

პავლე ინგოროყვა და ხეთური სამყარო

9

ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული ეპიდემიოლოგიური ომი

3

„არქეოპოლისის“ მეცხოვნე



მრავალჟამიერ შენი სიცოცხლე!

წარმატებულ მეწარმეს, აღიარებულ ქველმოქმედსა და მეცნიერს, ბატონ **დემურ გადელიას** 2020 წლის 27 მაისს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდება.

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის მიწა-წყალზე, მდინარე ტეხურის მიმდებარედ, გამვლელი ადამიანის თვალსა და გულს ახარებს საოცარი გემოვნებით მოწყობილი გარემო, რომლის გალავანზე გაკეთებული წარწერა გვამცნობს, რომ იგი სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისს“ ეკუთვნის.

ამ მართლაცდა საოცარი „კარ-მიდამოს“ შემქმნელი და აღმშენებელი ერთი გულმართალი პიროვნება — დემურ გადელია გახლავთ.

მეტად რთული წინააღმდეგობებით სავსე და შთამბეჭდავია დემურ გადელიას მიერ განვლილი ცხოვრების გზა. დაიბადა და გაიზარდა მარტვილის (გეგეჭკორის) რაიონის სოფელ დიდიჭყონში, მრავალშვილიან, შრომისმოყვარეობითა და პატიოსნებით გამორჩეულ ოჯახში. შეიძლება ითქვას, რომ დემურ გადელია შრომას პატარაობიდანვე ეზიარა. არდადეგების პერიოდში ჩაის ფოთოლს კრეფდა, სხვა სამუშაოებსაც ასრულებდა, ერთხანს მეჩაიეებისთვის წყლის მიმტანადაც იმუშავა და მიღებული გასამრჯელოთი ეხიდებოდა მრავალშვილიან ოჯახს.

სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად შრომითი სტაჟისთვის იმუშავა გზის მშენებლობაზე, დაეუფლა მძღოლის პროფესიასაც და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი გახდა, პარალელურად მუშაობდა ავტოსატრანსპორტო საწარმოში მძღოლად.

მონდომებითა და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა პროფესიას და დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებს შორის საუკეთესოდ ითვლებოდა, რის გამო ინსტიტუტის რექტორატმა მას დასწრებულ სწავლებაზე გადასვლაც შესთავაზა, მაგრამ პირობების უქონლობის გამო, უარი განაცხადა. ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა. ერთი წლით ადრე სამხედრო სამსახურიც მოიარა ოფიცრის ჩინით და მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა.

აქ მას უკვე იცნობდნენ როგორც შრომისმოყვარე, პრინციპულ პიროვნებას და უყოყმანოდ ანდეს საპასუხისმგებლო თანამდებობა-სოფლის მეურნეობის სამმართველოს ინჟინერ-მექანიზატორი გახდა, მალე კი სამმართველოს მთავარ ინჟინერ-მექანიზატორად დააწინაურეს.

თითქმის სამი წელი იმუშავა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, სადაც თავი გამოიჩინა როგორც უაღრესად პრინციპულმა, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე და გულმართალმა მუშაკმა.

შემდეგ კვლავ სამეურნეო საქმიანობას დაუბრუნდა. წლების განმავლობაში იღვაწა მარტვილის რაიონის ერთ-ერთ უმსხვილეს ვედიდკარის ჩაის სახელმწიფო მეურნეობაში მთავარ ინჟინერ-მექანიზატორის თანამდებობაზე.

1975 წელს კი საცხოვრებლად გადმოდის სენაკის რაიონში და მუშაობას იწყებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში (შემდგომში ამავე სამინისტროს №2 სამშენებლო ტრესტი) მთავარ ინჟინერ-მექანიკოსად. 1980 წელს გადაჰყავთ ტრესტის მმართველის მოადგილედ — ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების უფროსად.

სიახლისადმი დაუოკებელმა სწრაფვამ, ტრესტის საქმიანობის საფუძვლიანმა ანალიზმა მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ტრესტში შემავალი სამშენებლო ორგანიზაციების ეფექტიანი, მიზანმიმართული საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მართვის სტილის შეცვლა, რეფორმის განხორციელება. თავისი მოსაზრება ტრესტის მესვეურებს გააცნო. ჩანაფიქრი მოუწონეს და იდეის განხორციელებაც მასვე მიანდეს, მხარდაჭერაც აღუთქვეს.

იხ. 6-7 გვ.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 28 მაისს

◎ პოეტის სიტყვა

ცივილიზებული ციხე...

კორონავირუსი. ამასაც მოვესწარით. ფაქტობრივად, ბაქტერიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ომს. ფსიქოლოგიური შეტევა ადრეც იყო ომის სტრატეგია, ოღონდ, ხმამაღალი. ახლა, პირიქით, სიჩუმეა, რომელსაც შიშის ხმა აქვს.

ჩემს ახალგაზრდობაში, როცა ქართულ ენაში პირველად შემოვიდა სიტყვა „გაუცხოება“, ძალიან მოგვწონდა ის, თუნდაც, მისი სიუცხოვის გამო (მეპატიოს ეს ტავტოლოგია).

ვკითხულობდით შერვუდ ანდერსონს, რომლის მეტაფორა, რომ ადამიანები ისე გაუცხოვდნენ ერთმანეთისგან, თითქოს, ჭები გათხარეს და მათ ფსკერზე დაიწყეს ცხოვრება, ლიტერატურულად გავითავისეთ, თუმცა, როგორც ჩანს, მისი არსი ბოლომდე არ გვესმოდა.

მხოლოდ ახლა ვიგრძენით საკუთარ ტყავზე, რას ნიშნავს ცივილიზებული ციხე. ალბათ, პოეზიისკენ მიდრეკილ ადამიანს ისე უჭირდა ეს იძულებითი მარტოობა, რომ ამბობდა:

„ციხეს რად უნდა რკინის კარები,
მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები!“

და თუ შაშაბანდიც ჩაკეტილია? დავიწყებული ტელევიზორი უნდა ჩართო, სადაც აღმოაჩენ, როგორი ექიმები გვყოლია, მაღალი პროფესიონალები, თავგანწირული ადამიანები, როგორ შეძლეს, ლამის საკუთარი სიცოცხლის ფასად, ბრძოლა ყოველი ავადმყოფის გადარჩენისთვის. და კიდევ, ხანდაზმულებზე, მოხუცებზე ხელი არ ჩაუქნევიათ, მათ სიკვდილს განიცდიდნენ.

ბატონები ამირან გამყრელიძე, თენგიზ ცერცვაძე, პაატა იმნაძე, ქალბატონი მარინა ეზუგბაია, ლევან რატიანი, არა მარტო მომწონდნენ და მიყვარდნენ, პიეტეტი გამიჩნდა მათ მიმართ.

ან როგორი ძლიერი და მკაცრი იყო პრემიერ-მინისტრი, ბატონი გიორგი გახარია!

რა სწორი და დროული იყო მისი დანიშვნა ამ თანამდებობაზე! ვერც კი წარმომედგინა, რომ საქართველო ასე კარგად, თითქმის, მსოფლიოს სხვა ქვეყნებზე უკეთ მოერგო ამ უბედურებას, თუნდაც ჩვენი „ეგ არაფერია“ ბუნების გამო.

ჯერ შარშან, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, გერმანელები დარწმუნდნენ, რომ ყბადაღებული „მესამე სამყაროობის“ მიუხედავად, მნიშვნელოვანი და საინტერესო ლიტერატურა გვაქვს. ახლა აქცენტი მედიცინაზე გაკეთდა.

რა თქმა უნდა, მსოფლიოს შეუმჩნეველი არ დარჩა ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ გადარიცხული 300 მლნ დოლარი ძვეყნის გაჭირვებისთვის, რაც არავის, არც ერთ ძვეყანაში არ გაუკეთებიათ.

ასე, ორი წლის წინ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო მსახიობის პანაშვიდზე მივედი და მისმა ცოლმა თქვა: 10 წლის წინ მოგიწევდათ მოსვლა, ბატონი ბიძინა რომ არაო.

რამდენი ათეული წელია, ბიძინა ივანიშვილი მფარველობს ქართულ კულტურას და ხელოვნებას, აშენებს უნივერსიტეტებს, თეატრებს, ეკლესიას, ეხმარება პოეტებს, მუსიკოსებს, მხატვრებს, მეცნიერებს, ვისაც უჭირს. რატომ უჭირთ? იმიტომ, რომ ყველა ცივილიზებულ ქვეყანასავით კი არ გადავედით კაპიტალიზმში, თვალები დავხუჭეთ და გადავხტით.



მახსოვს, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დროს, მწერლების შეკრებაზე ერთმა ცნობილმა მწერალმა თქვა: აი, გეიდარ ალიევი 500 დოლარს აძლევს ჩვენისთანა მწერლებს და ჩვენ რა ვქნათო? იფიქრეს და რუსთაველის პრემიის ლაურეატებს 450 ლარი დაგვინიშნეს. წლების მერე, 50 ლარი, რატომღაც ჩამოიოაკლდა, 400 ლარი ეყოფოდა ვითომ მარინა ჯანაშიას და კახი კავსაძის გადარჩენას?

მხოლოდ შემოქმედებითი მუხტის მქონე და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი აცნობიერებს, რომ კულტურისა და ხელოვნების გარეშე ერი, ძვეყანა კი აღარ ვიძნებით, არამედ ეთნიკური ჯგუფი.

იმასაც, რომ არა მხოლოდ „პურითა ერთითა“ და სოფლის მეურნეობისთვისაც გამოყოფს თანხას, მათთვის, ვისაც შრომა არ ეზარება და თბილისში ტაქსაობას მიწაზე მუშაობას არჩევს, იქნებ გვეშველოს და კონსერვანტებით გატეხილი საჭმელი აღარ ვჭამოთ.

კახი კავსაძე ერთ შესანიშნავ საავტორო სპექტაკლში კითხულობს: — იქ თეატრი არის?

რა თქმა უნდა, არის, ჩემო კახი, ცხრა ცაზე უკეთეს დეკორაციას სად ნახავთ, ან ასეთ რეჟისორს, „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“. მაგრამ ჩვენთან, ჯერჯერობით, საბედნიეროდ, ხანდაზმულებს ისე არ იმეტებენ, როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, ამიტომ ჯობია, ჯერ აქ ვიყოთ, სანამ გვიხარია, რომ ამ რეჟისორმა, ღმერთმა „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“.

ლია სტურუა,
(593 31 31 33)

26 მაისი: სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი!

რამდენჯერ გვსმენია სამწლიანი დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდის შეფასებისას — ქარის მოტანილი ქარმა წაიღოო. ჩვენ ხომ საკუთარ მიღწევათა და მათ შემოქმედთა დამსახურებების დაკნინებაში შეუდარებელნი ვართ. მაშინ იმ ისტორიულ აფერაზე რაღა უნდა ვთქვათ, როცა უახლოესი წარსულის სამარცხვინო ფურცელი — აგვისტოს ხუთდღიან „ომობანაში“ განცდილი მარცხი მაშინდელმა კვაზიპრეზიდენტმა გამარჯვებად შემოგვასაღა და რუსთაველზე ევროპიდან მოწვეულ თავისნაირ პოლიტიკურ შარლატანებთან ერთად გვაზეიმა.

როცა საუკუნისწინანდელ მოვლენას ვაკნინებთ, ამით ხომ ეჭვქვეშ ვაყენებთ დიდი პოეტის უკვდავი სტრიქონების მნიშვნელობას: „თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია“.

დიახ, შემთხვევით არაფერი ხდება, მით უმეტეს ისეთ მეზობელთა გარემოცვაში, ერთი სული რომ აქვთ, რაიმე წაგგლეჯონ და საამისოდ არაფერს თაკილობენ.

მართლაც, როგორ უნდა მოგიბრუნდეს ქართველ კაცს ენა, მენშევიკებისა და მათ ლიდერ ნოე ჟორდანიას წარმატება კონტექსტიდან ამოვარდნილად გამოიყურებაო, როცა მრავალი სახელოვანი თუ უსახელო გმირი წინამორბედის მაგალითებით ვამაყობთ — ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს იდეის ხორცშესასხმელად მრისხანე დამპყრობელთა წინააღმდეგ უამრავი აჯანყება რომ მოაწყო, კაცობრიობის უმთავრეს მოწოდებას უერთგულა და სამშობლოს შეეწირა?

თუმცა, როგორ უნდა ვირწმუნოთ რეგალიებით დახუნძლულ ზოგ-ზოგიერთ მეცნიერ-მკვლევართა და ახალგამოჩეკილ ექსპერტთა ნააზრევის ჭეშმარიტება, რომლებსაც დღემდე ვერ დაუდგენიათ — შინდისფერი დროშის მადლს 26 მაისს მივაგოთ სათანადო პატივი თუ ზვიადის დიდგორს — 9 აპრილს?

ჰოდა, ვიდრე ყოვლისმცოდნენი საერთო, ობიექტურ პოზიციაზე შეჯერდებიან, ორივე თარიღი აღვნიშნოთ — ჩვენ ხომ არაერთ საერო და რელიგიურ დღესასწაულს სწორედ ორ-ორჯერ ვზეიმობთ!..

დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ, ქართველნო!

ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული ეპიდემიოლოგიური ოგი

კოვიდპანდემიისთვის წერტილის დასმა ჯერ აშკარად ნაადრევია, თუმცა მასთან ბრძოლაში გარკვეული მიღწევებისა და ჩავარდნების შეჯამება უკვე ალბათ, შესაძლებელია. მეზობლებთან შედარებით, საქართველო მკაფიო ლიდერად გამოიყურება როგორც ავადობის სტატისტიკის, ისე მთავრობის რეაგირებისა და კრიზისიდან გამოსვლის ტემპების კუთხით. რამდენად რეალურია ეს სურათი, რამდენად არის ქვეყნის მიღწევები მოქმედი ხელისუფლების დამსახურება და რა შთაბეჭდილებას უქმნით ეს ყველაფერი ჩვენს ამიერკავკასიელ მეზობლებს? ამ თემებზე ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ექსპერტების მოსაზრებებს გთავაზობთ.

რატომაა საქართველო პირველი

ქართველი ექსპერტი **გია ხუხაშვილი** თვლის, რომ საბოლოო შეფასებების კეთება ჯერ ნაადრევია — არა იმიტომ, რომ რაღაც არის მოსალოდნელი, არამედ იმიტომ, რომ ამ დრომდე არ ვიცით, რასთან გვაქვს საქმე, თუმცა ინდიკატორებზე დაყრდნობით იგი იზიარებს მოსაზრებას, რომ სადღეისოდ საქართველო სამეზობლოში პირველია.

მისივე აზრით, ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანა ზედმიწევნით ასრულებდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს და, რაც მთავარია, ბრძოლა ადრე დაიწყო: რაც შეეხება მეზობელი ქვეყნების შედარებით უარეს შედეგებს, ხუხაშვილის აზრით, მიზეზები შესაძლოა, რამდენიმე იყოს: **„შესაძლოა, ჩვენთან მართვის სისტემამ იმუშავა უკეთ. უპირველესად, ჩვენ საკარანტინო ღონისძიებებზე უფრო ადრე გადავედით და საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადეთ, ანუ, ასე ვთქვათ, პროცესს დავასწარით. სომხეთსა და აზერბაიჯანში კი შესაძლოა, მოერიდნენ მთლიანად ეკონომიკის შეჩერებას, ბაზრები, რესტორნები და სოციალურად სარისკო სხვა ადგილები იქ გაცილებით გვიან დახურეს. არადა, ამ ვითარებაში დღეებსა და საათებსაც კი აქვს მნიშვნელობა — ერთი დღეც შეიძლება, გადამწყვეტი აღმოჩნდეს. თუმცა ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ აზერბაიჯანში 2-2,5-ჯერ მეტი ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე საქართველოში, დასახლებულობის სიმჭიდროვე მეტია და, შესაბამისად, საწყისი რისკებიც იქ უფრო მაღალი იყო“.**

აზერბაიჯანელი პუბლიცისტი და ეკონომისტი **თოგარულ ჯუვარლი** თვლის, რომ ამიერკავკასიის ქვეყნების განსხვავებული შედეგები არა, მაგალითად, მართვის უფრო დემოკრატიულ ან ავტორიტარულ სისტემებს უკავშირდება, როგორც ხშირად იწერება, არამედ უპირველესად, მთავრობების რეაგირების სისწრაფეს. გარდა ამისა, მისი აზრით, გარკვეული პრობლემების მიუხედავად, ქართული ჯანდაცვის სისტემა აზერბაიჯანულზე შედარებით უკეთესია.

ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობა სომხეთშია. ერევნის პრესკლუბის თავმჯდომარე **ბორის ნავარსალდიანი** თვლის, რომ სომხეთი ამ დროისთვის ჯერ კიდევ ინფიცირების ზრდის ეტაპზე და მთავრობის მიერ ეპიდემიასთან საბრძოლველად შემუშავებული გეგმის განხორციელების მესამე ფაზაში იმყოფება: **„სამთავრობო გეგმის პირველი ფაზა წყაროების ლოკალიზებაში მდგომარეობდა; მეორე — შემზღუდავ ღონისძიებებში ისევ და ისევ (ვირუსის) გავრცელების აღსაკვეთად (თუმცა ეს ზომები მაინცდამაინც მკაცრი არ ყოფილა, ისევე, როგორც დამრღვევთა მიმართ გატარებული სადამსჯელო ზომები), დღეს კი მესამე ფაზაში ვიმყოფებით, როცა პირველმა ორმა მაინცდამაინც კარგად ვერ იმუშავა და ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ჯანდაცვის სისტემამ დატვირთვას გაუძლოს. ამავდროულად, იხსნება ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფერო, ბიზნესი, ვაჭრობა და ა.შ.“**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორც სომეხი ექსპერტი აღნიშნავს, საფრთხისადმი თავად მოსახლეობის არასაკმარისად სერიოზული დამოკიდებულებაა.

> აი, სომხეთის ჯანდაცვის მინისტრი კი სულაც არ არის დარწმუნებული, რომ საქართველო კოვიდეპიდემიასთან ბრძოლის კუთხით ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის პირველია. **არსენ ტოროსიანს** ოფიციალური ქართული კოვიდ-სტატისტიკის მიმართ ეჭვები აქვს.

„როდესაც საქართველოდან შემოსულ მძღოლებს ტესტირებას ვუტარებთ, ხშირ შემთხვევაში ტესტი დადებით შედეგს აჩვენებს. მაშ, შეიძლება თუ არა, ჩაითვალოს, რომ საქართველოში დღიურად მართლაც 1-2 ახალი შემთხვევა ფიქსირდება, თუ უბრალოდ ყველა არსებული შემთხვევა არ ვლინდება, ან არ აღირცხება ოფიციალურ სტატისტიკაში?“, — განაცხადა მინისტრმა და კიდევ რამდენიმე კონკრეტული კითხვა გააჟღერა, კერძოდ, რომელი ტესტები იყო გამოყენებული საქართველოში ფიქსირებულ შემთხვევებში და ხომ არ ყოფილა ისინი ე.წ. სწრაფი, რომელსაც სომხეთში პრაქტიკულად აღარ იყენებენ მათი დაბალი სიზუსტის გამო? უტარდებათ თუ არა საქართველოში ტესტირება მოქალქეებს, რომელთაც მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციის სუსტი სიმპტომატიკა აღენიშნებათ? გათვალისწინებულია თუ არა სტატისტიკაში შემთხვევები, რომლებშიც პაციენტი პნევმონიით გარდაიცვალა, მაგრამ ამავდროულად კოვიდ-ინფექციაც ჰქონდათ დიაგნოსტირებული?

ტოროსიანმა ისიც აღნიშნა, რომ სომხური ეპიდსაწინააღმდეგო სისტემა ქართულზე ძლიერია: **„ქართული ჯანდაცვისა და ეპიდსაწინააღმდეგო სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება სომხურისგან, თანაც არა მათ სასარგებლოდ. ჩვენი უფრო მძლავრია და ეს ფაქტია“.**

მინისტრს აინტერესებს ისიც, რამდენად შეძლებენ საქართველო და სხვა სახელმწიფოები ამჟამინდელი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებას.

> სომხეთში სადღეისოდ სულ 5928 კოვიდ-ინფიცირებულია აღრიცხული, გამოჯანმრთელდა 2874, გარდაიცვალა 74 მოქალაქე. საქართველოში კი ეს მაჩვენებლები შესაბამისად 723-ს, 495-ს და 12-ს შეადგენს.

რატომ არ შემოიღეს აზერბაიჯანსა და სომხეთში მკაცრი საკარანტინო და სადამსჯელო ზომები?!

როგორც **თოგრულ ჯუვარლი** აღნიშნავს, ნებისმიერი კრიზისი — ეს ხელისუფლებასა და ხალხს შორის მოლოდინების ახალი გაცვლაა და ამ მხრივ ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანში მოსახლეობის მკაცრი იძულება, საკარანტინო ზომები დაეცვა, არ ყოფილა, გასაკვირი არ უნდა იყოს: **„ხელისუფლება, სურვილიც რომ ჰქონოდა, ხისტ რეპრესიულ ზომებს ვერ გაატარებდა — უბრალოდ იმიტომ, რომ კრიზისის პერიოდში მისი ურთიერთობა ხალხთან, პოლიტიკური თვალსაზრისით, იგივენაირად „წაიხისტებდა“, როგორც პანდემიამდე: იყო გარკვეული ზეწოლა ჟურნალისტებზე, გარკვეულ პოლიტიკოსებზე და ა.შ. მაგრამ ამას ხელისუფლების მიერ პანდემიის თავის მიზნებში გამოყენებას ვერ დავარქმევთ — ეს საშტატო რეჟიმში ხდებოდა. აი, ამ ფონზე კარანტინის დამრღვევთა მიმართ დამატებით ხისტი სადამსჯელო ზომები რომ შემოეღოთ, საზოგადოებაზე წნეხის კიდევ უფრო გაძლიერება მმართველ ძალას კარგს არაფერს მოუტანდა“.**

ასევე არ ისურვა შექმნილ ვითარებაში მოსახლეობის კეთილგანწყობით გარისკვა შედარებით დემოკრატიულმა სომხეთის ხელისუფლებამაც, — თვლის, თავის მხრივ, **ბორის ნავარსარდიანი: „ახალ ხელისუფლებას ნდობის უსაზღვრო კრედიტის პირობებში შეეძლო, უფრო მკაცრი რეპრესიული ზომები შემოეღო, თუმცა ეს, ჩემი აზრით, იმიტომ არ გააკეთა, რომ მოსახლეობის კეთილგანწყობით გარისკვა მაინც არ ისურვა. თანაც ჩვენი რეპრესიული აპარატის სუსტი ბუნების გათვალისწინებით, ეს არც იქნებოდა ეფექტური“.**

როგორ აფასებს კოვიდ-19-თან ბრძოლის თვალსაზრისით სამი ქვეყნის ხელისუფლებების საქმიანობას ხალხი და ოპოზიცია

გია ხუხაშვილი ნაწილობრივ იზიარებს ხელისუფლების ოპონენტების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობას ამ მხრივ საქმე წინა ხელისუფლების დროს გატარებულმა ადმინისტრაციულმა რეფორმამ და მის შედეგად მკაფიოდ ჩამოყალიბებულმა ადმინისტრაციულმა ვერტიკალმა გაუადვილა: **„ნაწილობრივ ეს მართლაც ასეა, რადგან ის ინსტიტუციონალური წესრიგი, რომელმაც კრიზის-მენეჯმენტის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობა მოგვცა, სააკაშვილის დროს ჩამოყალიბდა. დიახ, იქ იყო, რა თქმა უნდა, თავისი ნეგატივი, მაგრამ საკუთრივ ინსტიტუციონალური წესრიგი სწორედ მისი მმართველობის დროს ჩამოყალიბდა. თუმცა ეს არ აკნინებს კონკრეტული პერსონების — იმ ეპიდემიოლოგების, ვირუსოლოგების წარმატებას, რომლებიც ბოლო პერიოდში არა მარტო მკურნალობით, არამედ მენეჯმენტითა და ნორმალური კომუნიკაციით იყვნენ დაკავებულები. ჩვენთან გაჩნდნენ ახალი საზოგადო მოღვაწეები — სწორედ ვირუსოლოგები და ეპიდემიოლოგები, რომლებიც ახლა ყველაზე პოპულარული ადამიანები არიან. ძალზე მნიშვნელოვანია, როცა ხალხს მარტივი, გასაგები ენით უხსნი, როგორია რისკები, თანაც აცნობიერებ, რომ საქმე პანიკამდე არ უნდა მიიყვანო. დაბალანსებულმა, ძალზე აკურატულმა კომუნიკაციამ, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა“.**

ბორის ნავარსარდიანი ამ კონტექსტში სომხეთის მოქმედი მთავრობის გამოუცდელობაზე ამახვილებს ყურადღებას: **„ამჟამინდელ მთავრობას, წინასთან შედარებით, რა თქმა უნდა, უდიდესი უპირატესობები აქვს: ახლა რომ წინა მთავრობა გვყავდეს, დარწმუნებული ვარ, მთელი პოლიტიკური და მმართველი ელიტა იმაზე იქნებოდა კონცენტრირებული, როგორ დაეცვა საკუთარი თავი და გამოეყენებინა ვითარება პოლიტიკური გავლენის განმტკიცებისა და პირადი გამდიდარებისთვის. ახალ ხელისუფლებაში თუ სადმე მსგავსი მომენტები გვხვდება, ისინი ცალკეული ხასიათისაა. თუმცა ახალ მთავრობას ახასიათებს გამოუცდელობა. ვიტყოდი, რომ ამჟამად ეპიდემიასთან ბრძოლაში ერთგვარი გადაღლილობისა და მეტიც, დაბნეულობის მოწმენი ვართ.**

რაც შეეხება მოსახლეობის დამოკიდებულებას მთავრობის საქმიანობისადმი, მისი შეფასებით, „არსებობს ნდობა იმ ინფორმაციის მიმართ, რომელსაც მთავრობა ასაჯაროებს, თუმცა არ არსებობს რწმენა, რომ მთავრობა ეფექტურად მოქმედებს“.

იგებენ თუ აგებენ საბოლოოდ ხელისუფლებები?

რიგი ანალიტიკოსების პროგნოზით, მაღალი ალბათობით, არსებულ ვითარებაში „ქართული ოცნების“ რეიტინგი გაიზრდება, თუმცა ამავდროულად იზრდება ხელისუფლებისადმი ხალხის მოთხოვნაც, რაც შესაძლოა, „ოცნებას“ საბოლოოდ პრობლემად ექცეს.

ამ მოსაზრებას **გია ხუხაშვილიც** იზიარებს და აღნიშნავს, რომ ხელისუფლების სარეიტინგო ბონუსი ძალზე მოკლევადიანია... თოგრულ ჯუვარლი თვლის, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებას ეპიდემიასთან მეტ-ნაკლებად წარმატებული ბრძოლით მოპოვებული დივიდენდების პოლიტიკურ ბონუსებში კონვერტირება ასევე გაუჭირდება.

აი, **ბორის ნავარსარდიანი** კი სომხეთის მოქმედი ხელისუფლების რეიტინგის ვარდნას, ეპიდემიასთან შედარებით წარუმატებელი ბრძოლის მიუხედავად, ნაკლებად ელის.

„აქცენტი“



დაწვით მისი ფერფლი...

ხელისუფლებას, ქართულ ბომონდს, ტელეჟურნალისტებს ბეჭდური მედია ფეხებზე ჰკიდიათ! ამიტომაც ბჟუტურებენ ჩიქორთულად!!!



მსოფლიოში ჯერ კიდევ მძვინვარე კორონავირუსის რისხვის თავიდან ასაცილებლად, დავიწყებ ინფიცირებული ჟურნალისტური აზროვნების ნიმუშით — „ინფორმაცია, რომელსაც უნდა ფლობდეთ კორონავირუსთან დაკავშირებით“.

ვეცდები, გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრება, თუ რატომ ირთულებს საქმეს თუნდაც ამ პატარა წინადადების ავტორი: მას ხომ მოკლედ და გასაგებად შეეძლო ეთქვა, „რა უნდა ვიცოდეთ კორონავირუსზეო“, მაგრამ მაინც ღვარჭნილი და საშიში გზა ირჩია.

თუმცა, მანამდე სხვა ჟურნალისტური (და არაჟურნალისტური!) „მარგალიტები“ ვნახოთ.

ეს გახლავთ ამონარიდი ერთ-ერთი სოლიდური დაწესებულების პრესცენტრის განცხადებიდან: **„აღნიშნულ მონაკვეთზე ასფალტ-ბეტონის საფარის, საგზაო ნიშნების მოწყობისა და გზის სავალი ნაწილის მონიშვნის სამუშაოები ხორციელდება“.**

ნებისმიერი დაწესებულების პრესსამსახურის უმთავრესი მოვალეობა ამ დაწესებულების მიერ გაწეული საქმიანობის საზოგადოებისთვის გაცნობაა. საუბარია არა პოტენციური კლიენტების შესაშინებელი ან სახელის გამტეხი, არამედ სახელის გამთქმელი, სახელის მომხვეჭი, კლიენტების მისაზიდი სარეკლამო ინფორმაციის გავრცელებაზე. ვწუხვარ, რომ ამ წინადადების მეტნაკლებად სრული გრამატიკული და სტილისტური განხილვის საშუალება არ მეძლევა. თუმცა, ერთ რიტორიკულ შეკითხვას მაინც დავსვამ — **„ასფალტ-ბეტონის საფარის მონიშვნის სამუშაოები“** რას ნიშნავს?

ჟურნალისტი ტელეეკრანიდან საქმიანად გვამცნობს, რომ **„ექიმმა განახორციელა რელაქსაცია“**. აქ საქმე თავმომწონეობის სენით შეპყრობილი ჟურნალისტის უვიცობასთან უნდა გვქონდეს. ლათინური წარმოშობის სამედიცინო ტერმინი „რელაქსაცია“ ქირურგიული ოპერაციის შემდეგ ჯვარედინი კუნთოვანი სისტემის ტონუსის ხელოვნურად შემცირებას ნიშნავს. ჟურნალისტს ალბათ უნდოდა ეთქვა, მძიმე სამუშაო დღის შემდეგ ექიმმა ძალების ნაწილობრივი აღდგენის მიზნით ცოტა დაისვენაო. არ არის გამორიცხული, ექიმის მიერ პაციენტებისთვის დროებით სამკურნალო საშუალებების მიცემისგან თავის შეკავებასაც გულისხმობდეს. ასეა თუ ისე, „ექიმმა დაისვენას“ ან „ექიმმა პაციენტები დაასვენას“ ნაცვლად, ჟურნალისტი „ექიმმა განახორციელა რელაქსაციათი“ კოპწიაობს; თვითონაც უვიცის სახელს იმკის და კოლეგა-ჟურნალისტების კომპეტენციასაც ვნებს.

„კლასიკოების დროს კი (ფიგუს) ისეთ ფურორს უწყობდნენ ხოლმე, რომ რაღაც პერიოდის შემდეგ პორტუგალიელმა კუთხურების მოწოდებას თავი დაანება“ — ეს ქართველი სპორტული ჟურნალისტის განცხადებაა. ერთი შეხედვით, გაუგებარია, თუ დიდი ფეხბურთელი ფიგუ კუთხურის მოწოდებისას მაყურებლებში ფურორს იწვევდა, რატომ უნდა ყოფილიყო უკმაყოფილო. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ჟურნალისტმა არ იცის ლათინური furor-ის (ხმაურიანი წარმატება) მნიშვნელობა და იგი საპროტესტო ხმაური ჰგონია, ყველაფერი თავის ადგილას დადგება.

„უნდა აღინიშნოს შედეგი, რომელიც მოლაპარაკების შედეგად არის მიღებული“ — ეს არის უაზრო სიტყვაუხვობის მაგალითი. ამ აზრის გამოსახატავად სამი სიტყვაც საკმარისი იქნებოდა — „აღსანიშნავია მოლაპარაკების შედეგი“.

„ქალი, რომლის ინფიცირებასაც უკავშირდება ქალი, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა აზერბაიჯანიდან“ — სავარაუდოდ, ამ სიტყვების ავტორი აპირებს გვითხრას, რომ „ქალს ინფექცია აზერბაიჯანიდან ჩამოსული პირისგან შეეყარა“. მაგრამ ამ შემთხვევაში, ტელეეკრანზე ყოფნისა და, შესაბამისად, უსარგებლო საუბრის ვადა შეეზღუდებოდა.

„ერთი შეკითხვა მინდა დაგისვათ, სანამ შეკითხვას დაგისვამდეთ“ — ასეთი იდიოტური გამოთქმა ძნელი ასახსნელია. ალბათ, უნდოდა ეთქვა, სანამ საუბარს დავიწყებდეთ, თუ შეიძლება, ერთ კითხვაზე მიპასუხეთო. მაგრამ თუ ამ ჟურნალისტის სახელგანთქმულობას, ქართული ჟურნალისტიკის, ერისა და სამშობლოს წინაშე მის არარსებულ დამსახურებებს გავითვალისწინებთ, საქმე ასე უბრალოდ არ უნდა იყოს. პრიმიტივი ჟურნალისტი ამით რესპონდენტის ცნობიერებაზე შეტევას, მის დათრგუნვას ცდილობს და ჰგონია, რომ ეს გამოსდის.

„ექიმები პერმანენტულად აგრძელებენ მუშაობას“ — ჟურნალისტი ცდილობს, გვითხრას, ექიმები განუწყვეტლივ მუშაობენო. ოღონდ არ იცის, რომ ეს ფრანგული ტერმინი (permanent) ისედაც მუდმივობას, განგრძობას, უწყვეტობას ნიშნავს და მოცემულ კონტექსტში ზმნა „აგრძელებენ“ ზედმეტია. ხოლო თუ მშობლიური ენისადმი იოტისოდენა პატივისცემა შეგვრჩენია, ამ აზრის გამოსახატავად ასეთი გამოთქმები სჯობს: „ექიმები დღედაღამ მუშაობენ“, „შეუსვენებლად მუშაობენ“, „დაუღალავად მუშაობენ,“ „დღე-ღამეს ასწორებენ...“

ვფიქრობ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამ ბოლო დროს ასე „გაჯეჯილებული“ ლათინური ტერმინი **კომუნიკაცია** (Communicatio), რაც ქართულად ცნობების გადაცემის გზების, კავშირის საშუალებების, ორ ან მეტ სუბიექტს შორის ურთიერთობის დამყარების, ინფორმაციის მიწოდების აღსანიშნავად გამოიყენება. მისი განმარტებიდან გამომდინარე, როცა ჟურნალისტი (პოლიტიკოსი, პოლიციელი, უშიშროების თანამშრომელი) ამბობს, მავანთან კომუნიკაცია დავამყარეო, მე, მსმენელმა უნდა ვივარაუდო, რომ მან მეორე სუბიექტთან ან ისაუბრა, ან საიდუმლო ინფორმაცია გადასცა (გამოსძალა), ან ისადილა, ან მასთან სექსით გაერთო (ესეც კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო საშუალებაა!). ამგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლადაა, ნებისმიერი ქართველი გლეხი მიუკიბავ-მოუკიბავად რომ ამბობს - გავიცანი, ვისაუბრე, ვუამბე, აზრები გავუცვალეო (გავუზიარე)...

ვწუხვარ, რომ მასმედიაში ასეთი და ამაზე მეტად შემაძრწუნებელი მაგალითები კატასტროფულად ბევრია: „ის არის მაღალი ასაკობრივ კატეგორიაში შემავალი პირი; ამერიკელმა სპეციალისტებმა გამართეს საუბარი ეპიდემიის ჭრილში; ხელისუფლება ცდილობს, მოსახლეობა დეზინფორმაციაში შეიყვანოს; განიცდიან ინტენსიურ დევნას; სამუშაოები ხორციელდება აქტიურ რეჟიმში; პაციენტის გადარჩენა ამ დროისთვის ვერ მოხდა; კორონავირუსმა 12 ადამიანი დაამარცხა; ორგანიზება გაუკეთეს ყვავილების ჩამოტანას; მთავრობამ ორი მილიონი მოაბილიზა; დადასტურებული შემთხვევებიდან ორი არის გარდაცვლილი; ვირუსის გავრცელება შეადგენს დღეისათვის 35 ფაქტს; ეპიდემიოლოგები ადგენენ ინფიცირების შემთხვევის კონტაქტებს; ერთი პაციენტი ჟანგბადზეა დამოკიდებული; ხდება თანამშრომლების შენარჩუნება; გუშინ კლინიკაში შემოვიდა რვა ახალი შემთხვევა; კორონავირუსის გავრცელების ღონისძიებებმა არ უნდა დააბრკოლოს მონიტორინგის განხორციელება დახურულ დაწესებულებებში; დაწვით მისი ფერფლი...“

ახალი ამბავი არ არის, რომ ეგრეთ წოდებული ოპოზიცია ბიძინა ივანიშვილს ფანტასტიკურ ბრალდებებს უყენებს და განუწყვეტლივ ლაფს ესვრის. ბატონი ივანიშვილის პრესცენტრი იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც ცდილობს, უპასუხოს ცილისწამებებს.

ვნახოთ ორიოდე წინადადება პრესცენტრის განცხადებიდან:

„აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების ხელყოფის კუთხით არსებული რთული ვითარების გამო, საჭიროა საქართველოს ხელისუფლების მუშაობა გახდეს პროაქტიული;

საზოგადოებას მივაწოდოთ დეტალური ინფორმაცია, თუ რით არის დაკავებული ბიძინა ივანიშვილი პანდემიასთან ბრძოლის კონტექსტში;

თათბირს, რომელიც დილის 10 საათზე დაიწყო პარტიაში ფუნქციონირებადი ანტიკრიზისული საბჭოს ფორმატში, ესწრებოდნენ...“

თუ მის პოლიტიკურ სტატუსს, ერისა და სამშობლოს წინაშე მის მართლაც უნიკალურ დამსახურებას გავითვალისწინებთ, ბიძინა ივანიშვილი ასეთი დონის „პროფესიონალებით“ დაკომპლექტებულ პრესცენტრს ნამდვილად არ იმსახურებს; სხვათა შორის, არც კერძო პირი, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი.

საქართველოს ხელისუფლებასა და მის თაკო-შალიკურ ოპოზიციას შორის დღემდე არ ცხრება ცხარე კამათი მათ შორის წლევანდელი 8 მარტის შეთანხმების თაობაზე. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ შეთანხმებაში არაფერია ნათქვამი უგულავა-ოქრუაშვილის ციხიდან გათავისუფლებაზე; ოპოზიცია კატეგორიულად ამტკიცებს საწინააღმდეგოს — შეთანხმება აღიარებს ხსენებული ბატონების უბიწობას, მათი პატიმრობიდან გათავისუფლების აუცილებლობასო.

ყველაფერი ნათელი რომ გახდეს, ამ ფარისევლური შეთანხმების საკამათოდ ქცეული წინადადება ვნახოთ: **„მიუხედავად განსხვავებული აზრისა, ყველანი ვთანხმდებით, რომ აუცილებელია რეაგირება ქმედებებზე, რომლებიც შესაძლოა აღქმულ იქნას, როგორც სასამართლო და საარჩევნო პროცესების არასათანადო პოლიტიზაცია და მოგავალში მსგავსი ქმედებები თავიდან უნდა იქნეს აცილებული. მივესალმებით პრეზიდენტის წინადადებას, მისი საკონსტიტუციო უფლებამოსილების ფარგლებში, თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე საარჩევნო პროცესის ხელშეწყობასთან დაკავშირებით.“**

ამ აბზაცში პოლიტპატიმრებზე და, თუნდაც, პრემიერობა-პრეზიდენტობისთვის გამზადებული არაძმები ვაშაძეების გენიალობაზე მინიშნების აღმოჩენა თვით შალვასაც კი გაუჭირდება. მსგავსი რამ აქ არ წერია და არც იგულისხმება. ამიტომაა, რომ ერთი შეხედვით, აუხსნელი ჩანს გამოთქმა — „ᲫᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲕᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲠᲔᲐᲒᲘᲠᲔᲑᲐ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲐᲦᲥᲛᲣᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲖᲐᲪᲘᲐ“. თუმცა, თუ თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ თამაშებს გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, ეს იდიოტური წინადადება „შეთანხმებაში“ ჩაიწერა ორივე მხარის სურვილით, რათა მისი შინაარსი ხვალვე ქცეულიყო კამათის საგნად.

ასეც მოხდა. და განმეორდება მუდამ, ვიდრე პოლიტიკოსები, საერთოდ, ქართული ბომონდი ასე ლაპარაკობს: „ახდენს ღონისძიებების ჩატარებას; შეიძლება მოხდეს გადახედვა; ეს უნდა მოხდეს შესაბამისი სპეციალისტების მიერ; ხორციელდება პარამეტრების შენარჩუნება; შესაძლებელია სამუშაო პროცესის დაწყების განხორციელება; მოხდება საკვები პროდუქტის შემოტანა სატვირთო რეჟიმში; განხორციელდება ჩვენი მოქალაქეების გადაადგილების რეჟიმი; მაშველებმა განახორციელეს დაზარალებულის სახლიდან გამოყვანა; ვახორციელებთ შემოწმებას, თუ როგორ ხორციელდება მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულება; ვმუშაობთ ყოველდღიურ რეჟიმში...“

ასე იქნება, ვიდრე არ გვეცოდინება, რომ **კლასტერი** არის ჯგუფი, კერა, წყარო; **ფატალური** — საბედისწერო, გარდაუვალი; **ლეტალური** — სასიკვდილო; ვიტალური — სასიცოცხლო; **დალაიქება** — მონიშვნა; **დაშეარება** — გაზიარება, გავრცელება; **სეილი** — ფასდაკლება, გაიაფება; **სმაილი** — ღიმილი; **სენსიტიური** — მგრძნობიარე; **კრედიბილური** — საიმედო, სანდო, სანდომიანი; **კრეატიული** — შემოქმედებითი; **ვიზიტორი** — მნახველი, სტუმარი, დამთვალიერებელი; **ფეიკი** — ყალბი, ცრუ; **რელევანტური** — შესაფერი, შესაბამისი; **ტესტი** — სინჯი, გამოცდა; **იმიჯი** — სახე, ავტორიტეტი; **კორექცია** — ჩასწორება, გასწორება, შესწორება, შეცვლა, გადახვევა; **სტაფი** — თანამშრომლები, მხარდამჭერები, თანამოაზრეები; **ქასთინგი** — შერჩევა; **ივენთი** — წვეულება, დროსტარება, საღილი; **ოფცია** — არჩევანი; **ბრუტალური** — სასტიკი, უხეში, დაუნდობელი, ძალისმიერი; **ფოლოუერი** — თანამოაზრე, მიმდევარი; **რელაქსაცია** — დასვენება, გართობა; **გაიდლაინი** — გზამკვლევი; **ფურორი** — ხმაურიანი წარმატება; **ლაივი** — პირდაპირი; **ონლაინ** — დაუსწრებელი; **ლაითი** — იოლი, რბილი, თავისუფალი, **ცალსახა** — ერთმნიშვნელოვანი.

ᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲣᲕᲘᲪᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲣᲪᲝᲓᲘᲜᲐᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲓᲐᲛᲘ ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲘ, ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ; ᲒᲐᲣᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ; ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ; ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ; ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲨᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ; ᲔᲜᲘᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲣᲩᲘᲜᲐᲠᲔᲑᲐ; ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲐᲒᲝᲜᲘᲐ; ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ (ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ!) ᲓᲣᲛᲘᲚᲘ; ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲑᲔᲭᲓᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲤᲔᲮᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲙᲘᲓᲔᲑᲐ; ᲛᲔᲓᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲐᲦᲠᲔᲕᲐ; ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ...

ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ.



ᲛᲝᲓᲘ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲕᲘᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲗ, ᲕᲘᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲝᲗ ᲓᲐ ᲕᲘᲖᲠᲣᲜᲝᲗ. ᲩᲔᲛᲘ ᲤᲔᲠᲤᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲕᲐ ᲙᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲔᲡᲬᲠᲔᲑᲐ...

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲫᲝᲠᲘᲫᲔ,
21. 05. 2020 წელი

„ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡᲐ ᲛᲬᲠᲗᲕᲜᲔᲚᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ, ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲡᲐ ᲒᲣᲚᲡᲐ ᲰᲒᲛᲘᲠᲓᲔᲡ...“

ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ ᲠᲔᲕᲐᲖ ᲒᲝᲒᲝᲮᲘᲐᲡ

ᲜᲔᲒᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ნორმალური მკვლევარი-ისტორიკოსი არ შეიძლება ჯანსაღი პოლემიკის წინააღმდეგი იყოს... მადლობა ღმერთს, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნებისთვის ჭეშმარიტების ძიება ოდითგანვე დიდი ეროვნული მიზანი გახდა. ამიტომ წერს „ქართლის ცხოვრება“: **„ისტორია ჭეშმარიტის მეტყველება არს!“**...

ამდენად, მივესალმები ოპონენტის სურვილს კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, გავიაზროთ, გავაანალიზოთ 90-იანი წლების ტრაგედია, ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ლაქა საქართველოს უახლეს ისტორიაში („საქართველოს რესპუბლიკა“ 11.05). მადლობელი ვარ იმისთვისაც, რომ შეეხო ჩემს საყვარელ თემას - ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობას, რადგან მიმაჩნია:

ილიას გარეშე, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის, ამ თეორიის ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპების გარეშე „ჩვენი კარგი ქვეყანა“ ვერასოდეს გახდება წარმატებული. მაგრამ ისევ რუსთაველს თუ მოვუხმობთ, – „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა...“ ილიას ეს ლექსიც მაშინდელმა ქართველობამ თავისებურ პატრიოტულ ჰიმნად აქცია. ნატო გაბუნიამ იგი სასიმღერო ვარიანტად გადააკეთა (**„ორთავ თვალის სინათლევ“**) და თვითმხილველნი ასეთ ფაქტსაც გადმოგვცემენ, მისი შესრულებისას ილიას თვალზე ცრემლი ხშირად შეუნიშნავთ...

არ არსებობს ეროვნული ცხოვრების არც ერთი სფერო, ილიას რომ თავისი გადამწყვეტი სიტყვა არ ეთქვას. სხვანაირად ხომ იგი **„საქართველოს თანამდევი უკვდავი სული“** ვერც იქნებოდა. მისი ფიქრები მარად მის „კარგ ქვეყანას“ დასტრიალებდა, მის წარსულს, აწმყოს, მომავალს და ჩვენც საფიქრელად ეს დიდი იდეა-ფორმულა დაგვიტოვა – **„რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“**...

დიახ გატონებო, ეროვნული გრძნობა უკვდავია, ვერანაირი სხვა გრძნობა ვერ შეედრება, მას შეიძლება სიცოცხლეც შესწიროს კაცმა... ილიამ არაერთხელ გააუღერა ეს პოეზიაშიც, პროზაშიც, პუბლიცისტიკაშიც. პოემაში – „მეფე დიმიტრი თავდადებული“, მან ეს თავისებურ ანდერძად დაგვიტოვა ქართველებს:

რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით...
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც,
გზად და ხიდად გავედებით“...

„გზად და ხიდად გადებას“ გვთხოვს თითქმის 800 წლიანი **„ძნელგზედობის“** ტყვეობაში მყოფთ, რომ ახლო, თუ შორეულ მომავალში კვლავ ვეღირსოთ **„ჩვენს იმ ძველს დიდებულს ოქროვანს ხანას“**... ამ გააზრებით, უპრიანია დაფუძნდეს რაიმე ფორმით **„ეროვნული სტრატეგიის სამეცნიერო-საკვლევი ცენტრი“**, რათა ილიას სიტყვა საქმედ იქცეს...

ნოსტალგიური გრძნობები უცხო არ იყო ილიასთვის. არტურ ლაისტი მოგონებებში - **„საქართველოს გული“**, იხსენებს ერთ ნიშანდობლივ ფაქტს: როდესაც ევროპაში ექიმებთან წასულს ეს გრძნობა მოეძალა, მითხრა: **ევროპას რა ჯობია, ვენაცვალე მაგას, ჩვენი დიდი სამომავლო იმედია, მაგრამ საქართველო მომენატრა, აღარ შემიძლია აქ გაჩერება...** საქართველოს საზღვრებში რომ შემოვედით, ცრემლი მოერია, მოულოდნელად დაიჩოქა, მიწას ემთხვია და მობოდიშებით გამომიტყდა: **„სამშობლოსადმი მონატრების გრძნობა როგორ არ მქონია ადრეც, მაგრამ სიბერეში მთლად მომეძალა - ვეღარ ვიკავებ თავს“**...

სიბერეში მოუნია **„მარქსელ კოსმოპოლიტებთან“** სამკვდრო-სასიცოცხლო გრძოლაც, წიწამურამდე რომ მიიყვანა... დღევანდელი ჩვენი ნეოლიბერალები ამას, რა თქმა უნდა, ვერასოდეს გაიგებენ, მათთვის ხომ, – რაღა დროს ილიაა, გლობალიზმმა იგი ზედმეტ გარგად აქცია... მაგრამ საგედნიეროდ, ქართველ ერში ამ დიდ ეროვნულ გრძნობას ვერავინ და ვერაფერი ჩაკლავს – **9 აპრილი ამის უახლესი მაგალითია...**

90-იანი წლების ტრაგედიის არსიც ამაშია საძიებელი: 9 აპრილის დიდი ეროვნული მუხტი რატომ გაქრა, სად დაიკარგა... და კვლავ მერამდენედ შესაშური ერთგულებით აღვასრულეთ შაჰ-აბასის წყევლა: **„ღმერთო, ქართველებს ერთს პირს ნუ მისცემ“**.

გატონო რევაზ! აი, ამას უნდა კვლევა და ჭეშმარიტების დადგენაც, პასუხს თხოულობს კითხვა: რატომ, რა მიზეზებმა განაპირობეს ის, რომ ისე როგორც მთელი XX საუკუნის „მესამედასურ საქართველოში“, დღესაც ილიას გარეშე დავრჩით, მისი იდეალების, მემკვიდრეობის, „საერთო ნიადაგის“ თეორიის გარეშე, სად დაგვეკარგა ყველაფერი ეს 90-იან წლებში?!..

მას მოჰყავს ციტატა ჩემი წიგნიდან – „ილია და საქართველო“, სადაც, ღმერთმა იცოდეს, რას არ მწამებს – „ზვიად გამსახურდიას ღალატს, მტრობას (თანაც „დიდ მტრობას“), აკვიატებულ, მიკერძოებულ და სამარცხვინო აზრებს“... ეს მონოგრაფია 1998 წელს გამოვეცი და დღეს უფრო მტკიცედ ვარ მაშინდელი ანალიზისა და დასაკვნის პოზიციაზე:

„ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ, ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲝ 9 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲗ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ, ᲡᲣᲚ ᲠᲐᲓᲐᲪ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ-ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ, ᲓᲘᲓᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ ᲡᲐᲕᲜᲘᲡ ᲒᲣᲨᲢᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲫᲠᲐ. ᲓᲐᲘᲙᲐᲠ�გᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐᲡᲐᲪ... ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ, ᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲪ ᲓᲐᲝᲣᲯᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ“.

აბა, რა არის აქ ისეთი, რაც სიმართლე არ არის?!... ჩვენ ხომ ჯერ ცოცხლები ვართ, ყველაფერი ჩვენს თვალწინ მოხდა, არქივში ქექვა არა გვჭირდება... თუ სიმართლე გვინდა, სიმართლე ესაა, მაგრამ მას და ზოგიერთ სხვებსაც არ მოსწონთ ეს, რაც **ისტორიისთვის არაფერს ნიშნავს:**

დავაკვირდეთ მას, ამ ისტორიას – **„ჩვენს დიდ მასწავლებელს“**: რაც დედამწაზე სახელმწიფო წარმონაქმნები გაჩნდა ამ ხუთი ათასი წლის წინ, გვარის უხუცესი თუ მამასახლისი, ტომის ბელადი თუ ერისთავი, მეფე თუ პრეზიდენტი, უკლებლივ ყველა ხელისუფალი პასუხისმგებელია თავის სამართავ ობიექტზე. ავია-კარგია პასუხს აგებ ყველაფერზე. ამას ვერავინ გაექცევა და არც ჩვენ უნდა გავექცეთ, რამეთუ უნდა გვწამდეს – **„ქმნა მართლისა სამართლისა, შეიქმნს ხესა ხმელსა ნედლად“**... და ვისაც ეს არ სწამს, ეს უკვე მისი პრობლემაა...

ცხადზე ცხადია, საამისოდ კარგი „მწრთვნელი“ ვერ შეგვხვდა, ვინც გვყავდა ის კი, წიწამურთან დავასამარეთ!... გავიხსენოთ წიწამურთან თქმული მისი ოთხსიტყვიანი უკანასკნელი საამქვეყნო შეძახილი: „რას სჩადიხართ, ᲘᲚᲘᲐ ᲕᲐᲠ!“ – ეს შეძახილი იქ ჩასაფრებულ „ტყის ძმებსაც“ ეხებათ, მათ წამქეზებელ-დამქირავებლებსაც და აქეთ იმათაც, ვინც ილია მერე „ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲣᲠᲯᲐᲓ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲢᲠᲐᲓ“ გამოაცხადა და კიდევ უფრო აქეთ, საჩვენოსკენ, იმათ, ნეო-ლიბერალებს, ვისაც ილია „ᲩᲐᲕᲚᲘᲚᲘ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ...

აქ ესეც მინდა ვთქვა – ათეულობით მონოგრაფია, სამეცნიერო კრებული და სტატიები მაქვს გამოქვეყნებული და ვერსად ნახავთ გამსახურდიას აუგად ხსენებას, და მითუმეტეს, ლანძღვა-გინებას, ვიმეორებ, ვერსად!... ჯერ კიდევ დისიდენტურ გამოცემაში (**„ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲑᲔᲓᲘ“**), მას თავისი კუთვნილი ადგილი და როლი მიეცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც მას მარად დარჩება ჩვენს ისტორიაში საუკუნეების მანძილზე...

ბ-ნო რევაზ, ასე საქვეყნოდ რომ მლანძღავთ, ნუთუ ამ ჩემს ციტატაშიც, – რითაც იწყებთ ჩემს გინებას, – **„ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲐ ᲪᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲭᲠᲘᲐᲮᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗᲝᲗ“**... ილია ხშირად მას ჭადრაკს ადარებდა – იმარჯვებს ის, ვინც სვლებს ყველაზე შორს და სწორად თვლის... და თუ ერთსვლიანი „პოლიტიკა“ გვინდა, – კაცის კვლა, ერისა და ქვეყნის ღალატი, „პუტჩისტებმა“ ეს შესანიშნავად გვიჩვენეს მაშინ...

მთელი ჩემი წიგნი ამაზეა აგებული, თუ ბოლომდე წაიკითხეთ... აქვე, მართლაც რომ სამარცხვინოდ, რაღაც **„კუთხურობაზეც“** რომ გადმომკარით უპრაგონოდ სალანძღავი სიტყვა, კუთხურობაზე, რომელიც წერა-კითხვის უცოდინარ გლეხსაც კი არ მოუვა თავში...

მაგრამ კვლავ ილიას მოვიშველიებ, – „მოვიკლათ წარსულს დროებზედ დარდი“... და ჩვენთვის დღეს მთავარია აღსდგეს ილია და მისი პოლიტიკური მემკვიდრეობა. ის მარტო „მწერალი“ არაა, როგორც ეს დღემდე აწერია წიწამურის სვეტზე რატომღაც... ის **„ჩვენი დიდი იდეოლოგია“**, როგორც ვაუამ თქვა, **„მომავლის გზისგამკვალავი ლამპარია“**, როგორც ეს გვიანდერძა აკაკიმ, ხოლო გალაკტიონმა ორი სტრიქონით გენიოსურად გადმოგვცა ეს საუკუნოვანი დილემა-ტრაგედია:

„წიწამურთან რომ მოკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“

სწორედ ამ „ეპოქა დიდის“ აღდგენა-განახლება-გაცოცხლებაა მთელი ძალმოსილებით ჩვენი უმთავრესი ამოცანა ამ ახალ საუკუნესა და ახალ ათასწლეულში, ამაზე დიდი მიზანი ჩვენს თაობებს არა გვაქვს – დისიდენტობა სხვაა და ქვეყნის მართვა სხვა...

მადლობა ღმერთს, ჩვენით არ იწყება და არ მთავრდება საქართველო და ქართველი ერი – წინ კიდევ ბევრი საუკუნეები და ათასწლეულები გველის და თუ დღეს ჭეშმარიტებას გავექცევით და ვუღალატებთ, ხვალ შეიძლება **„მკვდარი ერების“** რიცხვში ანდა, აკაკის „ღამურას“ როლში აღმოვჩნდეთ.

ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, ივანე ჯავახიშვილი წერს:

„ჩვენს ხალხს ნათქვამი აქვს - კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა და საუბედუროდ, ილიას კარგი გამგონე არ გამოსჩენია, მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არაა?!“

ჭეშმარიტად რომ არა! აქ მარტო ეს ამოჩემებული „ილიელობა“ საქმეს არ შველის, – „ილიალოგია“ გვჭირდება ჰაერივით დღეს ქართველებს. აბა, დავაკვირდეთ, პირველი მარტო **ერთს** ნიშნავს, მეორე კი, **მრავალს**, – **მთელ ეროვნულ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას!** ისტორია აქაც გვასწავლის: ასეთი იდეოლოგიის გარეშე არცერთი წარმატებული სახელმწიფო არ შექმნილა: განა, აშშ „ამერიკანიზმის“ იდეოლოგიამ არ შექმნა, დღესაც დროშად რომ ააფრიალა ტრამპმა, ანდა, ისრაელი „სიონიზმის“ იდეოლოგიამ არშვა?! ...

ᲔᲗ. „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ“ ᲠᲝᲛ ᲕᲐᲛᲮᲔᲚᲓᲘᲗ, 2007 ᲬᲔᲚᲡ, 7-8 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 170 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ ᲠᲝᲛ „ᲛᲘᲣᲫᲕᲜᲔᲡ“ ᲣᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲗ ᲠᲑᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲠᲔᲛᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲐᲛ ᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲫᲐᲮᲘᲚᲔᲑᲘᲗ – **„ᲛᲘᲨᲐ ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲐ“**, ᲩᲕᲔᲜ, „ᲘᲚᲘᲐᲚᲝᲒᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲛᲐ“ ᲐᲛ ᲤᲡᲔᲕᲓᲝ-ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲡ ᲐᲡᲔ ᲕᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲗ: **„ᲛᲘᲨᲐ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲜᲐᲒᲐᲕᲘᲐ, ᲓᲘᲓᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ, ᲐᲣᲬᲝᲜᲐᲕᲘ ᲜᲐᲒᲐᲕᲘᲐ!“**...

საკვირველია ისიც, უსირცხვილოდ ამ ჭკუაზე რომ არიან ახლაც...

ᲞᲐᲠᲐᲜᲝᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲜᲔᲒᲔᲠᲘᲖᲛᲘ, „ᲑᲔᲚᲐᲓᲝᲛᲐᲜᲘᲐᲝᲑᲘᲡ-“ᲡᲔᲜᲘ გადმოჰყვა ქართულ პოლიტიკას „ჩიტირეკია და რწყილისტვინა მარქსელებისაგან“. ილია ვერ იტანდა მათ „უცხო ბაძს“ – **„ჩვენ რა, წუთისოფლის ნაბიჭვრები ვართ, ამქვეყნად ჩვენც გვიცხოვრია, გვიფიქრია, გვიმოქმედია“**... „ივერია“ სავსეა ამ მასალებით...

„სულის ღონე“ უნდა ამ სენის დაძლევას: **„ყველა დიდნი საქმენი და გმირობანი მარტო სულის ღონეა და მეტი არაფრის“**, დავით აღმაშენებლის დიდგორთან „ძლევაი საკვირველს“ ამით ხსნის, ისე როგორც მის სხვა არაერთ გამარჯვებას ეროვნული ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში. დღეს ვინ დაიჯერებს, რომ მაშინდელი საქართველო ეროვნული შემოსავლებით წინ უსწრებდა საფრანგეთს და ევროპის სხვა ქვეყნებს, ინგლისის გარდა... **„ნაადრევი ქართული რენესანსი“** – ასე შევიდა ეს ჩვენს ისტორიაში...

ამასაც ისტორია გვასწავლის: – ვინც ილიას უღალატა, ბოლოს ყველას თავისი მიეზღო „მესამე დასიდან“ დაწყებული, ახლანდელი ვაი-ნაციონალებით დამთავრებული. **„ისტორიას ყველაზე დიდი სამართალი აქვს და მას ვერავინ გაექცევა“**, ამასაც ჩვენგან გათავისება და გათვალისწინება უნდა დღეს...

რაც შეეხება პოლემიკური წერილის არც თუ კორექტულ გამონათქვამებს „დაწიხვლის“ მსგავსთ, ამჯერად ჩვენი დალოცვილი ფოლკლორით ვამჯობინებთ პასუხს – „ვირის წიხლი საწყენი არაა“...



ᲔᲚᲒᲔᲠᲓ ᲑᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599928712

ვნების სიმძაფრე შენებაშია,

„არქეოპოლისის“ მეცხოვნე

მრავალჟამიერ შენი სიცოცხლე!

(პირველი გვერდიდან)

ჯერი ახალი საწარმოს ადგილმდებარეობის შერჩევაზე მიდგა. საკმაო ძიების შემდეგ სოფელ ძველი სენაკის ტერიტორიაზე, მდინარე ტეხურის მიმდებარე ჭაობიანი, ბუჩქნარ-ჯაგნარითა და ეკალ-ბარდით დაფარული ტერიტორია შეირჩა. მისი გაკეთილშობილება მართლაც გაუგონარ შრომას მოითხოვდა, მაგრამ თავის შესაძლებლობებში დარწმუნებულმა, 1980 წელს, ერთი პატარა რონოდით, ექსკავატორითა და რამდენიმე მოძველებული თვითმცლელი ავტომანქანით დაიწყო ყველაფერი. რუდუნებამ, მიზანსწრაფვამ, ოპტიმიზმმა, მტკიცე ხასიათმა შედეგი გამოიღო. ერთ დროს გაუვალი ადგილი თანდათან ემსგავსებოდა თანამედროვე საწარმოს ტერიტორიას.

თავდაპირველად ახალშექმნილ საწარმოს „მექანიზაციისა და ავტოტრანსპორტის“ გაერთიანება ერქვა.

1983 წლის დამდეგს საწარმო „საავტომობილო გზების მშენებლობის, მექანიზაციისა და ავტოტრანსპოტის გაერთიანებად“ გადაკეთდა, მთლიანად მშენებლობის ფუნქციით. შესაბამისად ერთ წელიწადში სარემონტო — სამშენებლო სამუშაოთა მოცულობამ აქ 6 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

მშენებლობა ერთდროულად თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა. დღის წესრიგში მისი მოცულობის კიდევ უფრო გაზრდა დადგა, რაც მოითხოვდა საწარმოო სიმძლავრეების გადაიარაღებას. შრომითი კოლექტივის კვალიფიციური სპეციალისტებით შევსებას. არსებულის გადამზადების უზრუნველყოფას.

საჭირო გახდა საკუთარი ცოდნის გაღრმავებისთვისაც ეზრუნა, ვინაიდან თავად ინჟინერ-მექანიკოსი გახლდათ. სამშენებლო საქმიანობა სხვა კრიტერიუმებსაც ითვალისწინებდა, ამიტომ ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტზე, რომელიც 1987 წელს წარჩინებით დაამთავრა.

მიღებულმა ცოდნამ საუკეთესო გავლენა იქონია საწარმოს ეფექტიანობის ამაღლებაზე.

სამუშაოს მოცულობათა მკვეთრმა ზრდამ გადააწყვეტინა ბატონ დემურ გადელიას შეექმნა საკუთარი სამშენებლო ბაზა. 1989 წლიდან „აგრომშენის“ ფირმა „სენაკის“ სახელწოდებით შეუდგა სამუშაოების შესრულებას.

შემდეგ იყო ურთულესი და უმძიმესი პერიოდი, სამოქალაქო ომის ქარცეცხლით გამოწვეული განუკითხაობა და ქაოსი, განადგურდა ქვეყნის ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა.

ამ ორომტრიალს რაიონში მოქმედი საწარმოებიდან მხოლოდ „არქეოპოლისი“ გადაურჩა, მაგრამ გადაურჩა სისხლისა და წამების ფასად, იმის ფასად, რომ მას მტკიცე ნებისყოფის, შეუდრეკელი, უშიშარი ადამიანი ხელმძღვანელობდა და არა მარტო იცავდა მისი ძალისხმევითა და რუდუნებით შექმნილს, არამედ ასეთ ვითარებაში ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მუშაობა.

კრიმინალებმა, მთელს საქართველოში მოთარეშე ბანდებმა როგორ არ სცადეს მისი მოდრეკა, დაშინება, განადგურება, ბოლოს მოიტაცეს და მძიმედ დაჭრეს, მაგრამ, საბედნიეროდ, სიკვდილს გადაურჩა.

ბატონი დემურ გადელია თავის გუნდთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებათა გადაჭრაში.

ტექნიკით, საწვავით, სურსათითა და სხვა საშუალებებით ეხმარებოდა ქართველ მეომრებს, ჭუბერის გზით მომავალ უმწეო ლტოლვილებს და როცა ქვეყანა შედარებით დაწყნარდა, კვლავ წარმატებით გააგრძელა დაწყებული საქმე.

ფირმა „სენაკი“ 1996 წელს სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა და მისივე ინიციატივით „არქეოპოლისი“ ეწოდა. ეს სახელიც სიმბოლური იყო, რამეთუ ამ კუთხის ისტორია იძლეოდა ამის საფუძველს. „არქეოპოლისი“ ხომ იმ ადგილად მოიაზრება, სადაც პირველად ჩვენმა დიდმა, სახელოვანმა მეფე ფარნავაზმა, ეგრისისსა და სვანეთის ერისთავმა ქუჯიმ სწორედ აქ ჩაუყარეს საფუძველი ისტორიულად ერთიანი, ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას...

„არქეოპოლისი“ ცოცხალი ორგანიზმია, იგი ყოველწლიურად ივსება ახალი ტექნიკით, მექანიზმებით, ტექნოლოგიებით, აგრეგატებით და მეცნიერული სიახლეებით.

დღეს საწარმო ერთ-ერთი წარმატებული და წელგამართული კორპორაციაა ქვეყანაში. სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, მუშაობს მოდერნიზებული ორი ასფალტ-ბეტონის ქარხანა, ექვსი ქვის სამტვრევი საამქრო. გერმანულ-ავსტრიული ფირმის მოძრავი ქვის სამსხვრევი დანადგარი.

რკინა-ბეტონის ნაკეთობათა პოლიგონი, არმატურის, სამშენებლო ბლოკის, სახარატე, ავტოსაზეინკლო, სამხატვრო-სადიზაინერო საამქროები, დიდი მოცულობის სასაწყობო, საქვაბე და დამხმარე მეურნეობები. დამონტაჟებულია ლითონის 400 ტონიანი ტევადობის რეზერვუარები. საწარმოს გააჩნია საკუთარი მომსახურების ელექტროქვესადგური ორი მეგავატი სიმძლავრით და მასთან დაკავშირებული სატრანსფორმატორო კომინიკაციებით, კარიერები, ორი 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახებია შესახლებული. მუშაობს მუშათა სასადილო.

ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და ავეჯით მოწყობილი ოფისები, სააქტო დარბაზები, მუზეუმი, სპორტული მოედანი, შადრევანი, ტყე-პარკი, გაზონები.

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უახლოეს მომავალში ამოქმედდება მეცხოველეობის ფერმა და თევზის სატბორე მეურნეობა.

მიღწეული წარმატებების გამო საწარმო ბოლო 5 წელია რეგისტრირებულია ე.წ. თეთრ სიაში.

დემურ გადელიამ თავისი საქმიანობითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ფართო საზოგადოებას დაუმტკიცა, რომ იგი ჭეშმარიტად ფენომენალური შესაძლებლობების ადამიანია, ულევი ენერგიის პატრონი, დაწყებული საქმის ბოლომდე მიმყვანი და, რაც მთავარია, ის ყოველთვის ზუსტად გრძნობს დროის მოთხოვნებს და ამის გამო მუდამ ავანგარდშია, მუდამ ახალგაზრდა ნოვატორია, მან ეს არაერთგზის დაამტკიცა.

ბატონმა დემურ გადელიამ უმტკივნეულოდ და წარმატებულად დაძლია სამეურნეო საქმიანობიდან პოლიტიკურ ასპარეზზე გადასვლის წინააღმდეგობრივი პროცესიც. მიუხედავად მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნისა, მას ჯერ კიდევ 1992 და შემდეგ 1995 წელსაც არ ჰქონდა დეპუტატობის კანდიდატად კენჭისყრის სურვილი, მაგრამ 1995 წელს მისი ოფისის წინ შეკრებილმა ხალხმა ერთხმად მოითხოვა მისგან დეპუტატობა და რეგისტრაციის ვადის გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე აიძულეს ხელი მოეწერა სადეპუტატო განაცხადზე.

დემურ გადელია მაშინ პირველად გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. თუმცა, ყველაფერი ვერ გააკეთა, რაც დასახული ჰქონდა, მაგრამ, რაც მოასწრო, იმდენი და ისეთი ხარისხის იყო, მეორედაც აიჩიეს პარლამენტის დეპუტატად. ამჯერადაც თავისი წონადი სიტყვა თქვა და დამსახურებულად იქნა აღიარებული რაიონის მოსახლეობის საიმედო წარმომადგენლად ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

ბატონ დემურ გადელიას ინიციატივითა და მეცნიერ-მუშაკთა მონაწილეობით შემუშავდა სენაკის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების (1996-2000 წლების) პროგრამა და მისი განხორციელების კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა.

ბატონ დემურ გადელიას ლომის წვლილი მიუძღვის სამოქალაქო ომის შედეგად დაზარალებული რაიონის მოსახლეობის დახმარებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების აღსადგენად სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური სახსრების (სულ 1 მილიონ 335 ათასი ლარის) გამოყოფის საქმეში;

ბოლო წლებში საიმედოდ გამოჩნდა დემურ გადელია ახალ ასპარეზზე, მისმა მდიდარმა გამოცდილებამ, ფართო განათლებამ, შრომისმოყვარეობამ, სიახლეებისადმი დამოკიდებულებამ მას გადაადგმევინა ლოგიკური ნაბიჯი — საკუთარი ძალები მოესინჯა მეცნიერებაშიც.

ჯერ იყო და თბილისის საბანკო ინსტიტუტი დაამთავრა, ფინანსისტ-ეკონომისტის სპეციალობით, ასპირანტურაშიც ისწავლა და დამთავრებისთანავე წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

შემდეგ იყო გულმოდგინე მეცადინეობა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხისათვის და დღეს იგი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, პოპულარული წიგნებისა და მონოგრაფიის ავტორია.

იგი სამართლიანად ითვლება საქართველოში რეგიონული ეკონომიკისა და ფინანსური მენეჯმენტის ერთ-ერთ წარმატებულ მკვლევარად, თავის მეცნიერულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას ფართოდ უზიარებს მომავალ სპეციალისტებს. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა საქართველოს რკინიგზის ინსტიტუტში მისი ლექტორად მუშაობის პერიოდი, რაც არა მარტო ლექციების კითხვით შემოიფარგლებოდა, არამედ სტუდენტები ხშირად დაჰყავდა პრაქტიკაზე თავის საწარმოში და უნერგავდა პრაქტიკული მოღვაწეობის უნარჩვევებს.

ჭეშმარიტად განუზომელია ბატონ დემურ გადელიას მიერ გაწეული საქველმოქმედო მასშტაბები. იგი სისტემატურად ეხმარება სოციალურად დაუცველ ადამიანებს, ინვალიდებს, ვეტერანებს, დევნილებს, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, სპორტსმენებს, სტიქიით დაზარალებულთა ხელმოკლე ოჯახებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბატონ დემურ გადელიას ძალისხმევა ადამიანთა სულიერი აღზრდის კერების აღდგენა-გაფართოებისთვის. მან საკუთარი სახსრებით დააფინანსა წმინდა ალექსი ბერის (შუშანიას) სახელობის ტაძრის მშენებლობა, ქალაქში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აღდგენა-რესტავრაციის, მარტვილის მამათა მონასტრის რესტავრაციის, მარტვილის საკათედრო ტაძართან, ბალდის, აბედათის, სენაკის ეკლესია-მონასტრებთან მისასვლელი გზის მშენებლობა, სოფელ სალხინოს დადიანისეულ სასახლესთან მდინარე ონტოლოზე ქვის თაღოვანი ხიდის მშენებლობის სამუშაოები.

უდიდესი დახმარება აქვს გაწეული სენაკის იოანე ნათლისმცემლის, შხეფის მთავარანგელოზის სახელობის, აბაშის, ფოთის, მესტიის მუნიციპალიტეტებში ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-რესტავრაციისა და კეთილმოწყობის საქმეში.

ფასდაუდებელ დახმარებას უწევს მუნიციპალიტეტის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას წყალდიდობით გამოწვეული ზიანის აღმოფხვრაში. აღადგინა სტიქიით დანგრეული საავტომობილო ხიდი სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეში, აქვე და სოფელ მეორე ნოსირში მოაწყო მდ.ტეხურის ნაპირსამაგრი სამუშაოები, საიმედოდ გაამაგრა ხიდის ბურჯები. მის სახელთანაა დაკავშირებული სამოქალაქო ომის დროს აფეთქებული ხიდის სრული აღდგენა და ხიდზე მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით უზრუნველყო სოფლებთან დამაკავშირებელი გზის ელექტრო განათების მოწყობა საკუთარი სახსრებით.

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილ ფონდში „არქეოპოლისმა“ ჩარიცხა 50 ათასი ლარი, თანამშრომლებსა და შეჭირვებულ მოსახლეობას გაუწია დახმარება 20 ტონა პურის ფქვილით. საწარმოში დასაქმებულთათვის დაწესებულია ერთჯერადი უფასო კვება.

ქველმოქმედება ჩემი შინაგანი მოთხოვნილებაა, აცხადებს ბატონი დემურ გადელია და საქმით ამტკიცებს ამ სიტყვების სიმართლეს.

მის ამ კეთილშობილურ მისიას შესაფერად შეეხმიანა ჩვენი ცნობილი, სულმნათი პოეტი გენო კალანდია: „ქვრივ-ობლობის გამკითხავი, ქველმოქმედი, უპოვართა და უბედოთა დამპურებელი, ქართული ზნეობისა და ტრადიციების დამფასებელი, ლაკადური მირონით მონათლული, „არქეოპოლისისა და ძველი ციხე კოშკების გუშაგი და მეციხოვნე“...

ღირსეულადაა დაფასებული დემურ გადელიას ღვაწლი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ორჯერაა დაჯილდო-

და არა აშენებულით ტკბობაში!

სასიქადულო მამულიშვილი

ებული ღირსების ორდენით (2000 და 2010 წწ), წმინდა ნიკოლოზის სახელობის ორდენით (2015 წ.); არის სენაკისა და ზუდიდის საპატიო მოქალაქე, საზოგადოება სენაკელის წევრი, მინიჭებული აქვს საპატიო მეგზევის წოდება 3-ჯერ.

დემურ გადელიას საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარს. თუ ძალიან ჩაეძიები, გეტყვის: ცხონებული მამაჩემი არცთუ იშვიათად შემახსენებდა ხოლმე, საკუთარ პიროვნებაზე შენ კი არა შენმა საქმემ უნდა ილაპარაკოსო. ეს შეგონება ჩემი ცხოვრების გზის მაჩვენებლად რჩება მუდამ.

ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ, დროს არ ჩამოვრჩე, არასოდეს ვუშინდებოდი სირთულეებს, ამან შემაძლებინა ის, რაც გავაკეთე საზოგადოებრივ ასპარეზზე ბიზნესის სფეროში.

„არქეოპოლისი“ ძალიან მიყვარს არა იმიტომ, რომ დღეს იგი ჩემს საკუთრებას წარმოადგენს, ის შვილივითაა ჩემთვის, მიყვარს იმიტომაც, რომ თითოეული კენჭიც კი მეცნობა მისი, ვინაიდან უდიდესი რუდუნებით ვაკონწიებდი ყველაფერს. ვფიქრობ, საწადელს მივაღწიე, თუმცა გული უფრო მეტის გაკეთებისკენ მიხმობს... გახსოვთ, როგორ ამბობდა დიდი ილია? – „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის ჩემო თერგო ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი!“, მეც არ ძალმიძს გაჩერება, კაცი სანამ ცოცხალი ხარ, უნდა იმოძრაო, შენს ქვეყანასა და ხალხს უნდა ემსახურო, თუ გიყვარს იგი. მეც ვერ მოვისვენებ, სანამ ცოცხალი ვარ. გეგმები კვლავ საკმაოდ ბევრი მაქვს, ვცდილობ მაქსიმუმი გავაკეთო“.

შემთხვევით არ იყო, რომ ერთმა ცნობილმა პიროვნებამ ასე შეაფასა მისი მოღვაწეობა „დემურ გადელია მთელი თავისი არსებით, მრწამსით, ფიქრით ოცნებით, პრაქტიკით მშენებელი კაცია, მისი ბედნიერება შენებაშია... სწორედ ასეთი გამორჩეული ადამიანების მხრებზე დგას ჩვენი ქვეყანა“.

* * *

უკეთესად ვერ იტყვი.

ყველა საწარმოს თავისი ისტორია აქვს. წინა პერიოდში სახელმწიფო იყო ინიციატორი ახალი საწარმოების შექმნისა, სახელმწიფო მართავდა მათ, სახელმწიფო არჩევდა მათთვის ხელმძღვანელ კადრებსაც. იყვნენ მეტ-ნაკლებად წარმატებული ხელმძღვანელები, მაგრამ ცვლილებებიც არცთუ იშვიათი იყო.

თუმცა გამონაკლისებიც არსებობდა, უცვლელი მმართველებიც გვინახავს, მაგრამ რევოლუციურ ცვლილებებს ვერც მათ გაუძლეს და იძულებული გახდნენ, სამოქმედო ასპარეზი დაეტოვებინათ.

გამონაკლისს, ალბათ, „არქეოპოლისი“ წარმოადგენს, რომელიც ერთი გულმართალი, მოუსვენარი კაცის ინიციატივით დაარსდა, როგორც იტყვიან, ნულიდან დაიწყო ყველაფერი და უზარმაზარი თანამედროვე ტიპის კორპორაცია ჩამოაყალიბა, შეიძლება ითქვას შექმნა, შვილივით გაზარდა, უცვლელად უხელმძღვანელა 40 წლის განმავლობაში, ყველა ქარტეხილი უდანაკარგოდ გამოატარა და დღეს მისი დამფუძნებელი და მეპატრონე გახლავთ.

ისტორია „არქეოპოლისისა“ და დემურ გადელიას ცხოვრებისა ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს რამეთუ დაარსების პირველი დღიდან ისინი ერთად მოდიან. ამ ხნის მანძილზე უერთმანეთოდ ერთი დღეც არ უარსებიათ და ალბათ, დიდხანს ასე იქნება.

მერე კი... მერე მის მიერ დაწყებულ საქმეს შთამომავლები გააგრძელებენ და უფრო დიდ პროექტებს განახორციელებენ. მთავარია, პატარა დემურ და იოანე გადელიებიც ხომ იზრდებიან.

დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს ღმერთმა ჩვენს სახელოვან იუბილარს – საამაყო ძმას და მეგობარს ბატონ დემურ გადელიას!..

„არქეოპოლისის“ თანამშრომლები

დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა ჭეშმარიტ ადამიანს, უგულითადეს მეგობარს, პროფესიონალს, მკვლევარს, ბიზნესმენს, ქველმოქმედს, გამორჩეულად საჩინო პიროვნებას, ჩვენი ჭირისა და ლხინის მუდმივ თანაზიარს, კომპანია „არქეოპოლისის“ პრეზიდენტს, ბატონ **დემურ გადელიას**.

ამბობენ, ადამიანი განვლილი წლებით ფასდებაო. ამ წლებს ზოგჯერ ერთი ფარატინა ქაღალდი იტევს, რომელსაც ჩვენ ბიოგრაფიას ვეძახით, ზოგჯერ კი საამისოდ ფურცლებიც არ კმარა, მნიშვნელოვანი ისაა, თუ რა შინაარსით არის იგი გაჯერებული. 80 წელი ის ასაკია, როდესაც ადამიანი იწყებს თავისი განვლილი ცხოვრების გაანალიზებას და წარსულის შეფასებას. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩვენ თაობას ქვეყნისთვის განსაკუთრებით რთულ და წინააღმდეგობებით სავსე პერიოდში მოუწია ცხოვრების ყველაზე აქტიური წლების გავლა და მით უფრო, საპასუხისმგებლო აღმოჩნდა ბატონ დემურის მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი. ამ თვალსაზრისით მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მისაბაძი და სამაგალითოა, რადგანაც ეს არის ჭეშმარიტად სპეტაკი და კეთილშობილი ადამიანის მიერ განვლილი გზა.

საიუბილეო წერილები ბიოგრაფიული ელემენტების გარეშე წარმოუდგენელია. ტრადიციას ვერც აქ დავარღვევთ და მკითხველს ზოგად შტრიხებში გავაცნობთ დემურ გადელიას საინტერესო ცხოვრების ზოგიერთ დეტალს. მან თავისი შრომითი საქმიანობა დაიწყო სოფლის მეურნეობის განხრით, შემდეგ მუშაობდა სატრანსპორტო გაერთიანებაში, გარკვეული პერიოდი იმუშავა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, იყო სამშენებლო ტრესტის მმართველი. ამჟამად გახლავთ სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის“ ხელმძღვანელი.

„კაცი ყოველთვის კაცით იყო და ჩემთვისაც ბევრს გამოუწვდია ხელი, მაგრამ, ამ ხელზე გული დებულიყო, ძალზე იშვიათად შემხვედრია“ (ოტია იოსელიანი). ამ ლამაზი მოგონებით გვინდა დავიწყოთ ჩვენი მოკრძალებული საიუბილეო მისალმება და მრავალთა შორის ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვუთხრათ მადლობა გაწეული შრომისა და საქმიანობისთვის, რადგანაც სწორედ ბატონი დემური ბრძანდება ის პიროვნება, რომელიც ხელზე გულდადებული დაიარება ამ ქვეყანაში.

შვილიშვილთან ერთად

დღეს, ბატონ დემურის საიუბილეო თარიღის აღნიშვნისას, გვინდა ჩვენი უღრმესი პატივისცემა და აღფრთოვანება გამოვხატოთ ამ დიდებული პიროვნების მიმართ, რომელმაც ღრმაშინაარსიანი ცხოვრებითა და კეთილი საქმეების კეთებით აღსავსე გზა განვლო. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ბატონ დემურს, რომელი გზაც არ უნდა აერჩია, დარწმუნებული ვართ, ყოველთვის წარმატებული იქნებოდა. მან ურთულესი – მშენებლობის დარგი აირჩია და მუშაობა მოუწია რადიკალურად განსხვავებულ სახელმწიფო წყობის დროსაც და თავისუფალი საქართველოს ხანაშიც.

ბატონ დემურს ზოგიერთებისგან განსხვავებით არასოდეს არ უცხოვრია ერთი დღით, ერთი დღის გამორჩენის პრინციპით. ის ყოველთვის მომავალზე მოფიქრალი ადამიანია. პირველ რიგში, მისი წარმატების საიდუმლო არის ბუნებრიობა, შრომისუნარიანობა, ამასთან ერთად, ჟინი, სურვილი და ბრძოლა დასახული მიზნის განსახორციელებლად. იგი ბუნებით აღმშენებელია, შესანიშნავი პროფესიონალი, ნიჭიერი ორგანიზატორი. ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას მასში წესიერება და სიკეთე უდევს საფუძვლად. დემურ გადელია ვერ ეგუება უსამართლობას, არასოდეს არავის წინაშე არ მოუხრია ქედი. ეს არის ძმობაში უერთგულესი, მეგობრობაში თავდადებული, ახლობლებში გამორჩეული... ქართულ მუხას ჰგავს, რკინის გამძლეობით, გაუტეხლობითა და გამტანობით.

საზოგადოების ფართო წრეებში, განსაკუთრებით მეგზევეთა დიდ ოჯახში, ბატონი დემურ გადელია გამორჩეული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს, რადგან არის საუკეთესო ადამიანური თვისებების მატარებელი. განსაკუთრებით მიმზიდველი და შთამბეჭდავია მისი პიროვნული ხიბლი. მას ყველგან და ყოველთვის დიდი ყურადღებითა და მოწიწებით ეგებებიან, თავად ასეთივე განწყობით ხვდება ყველას, უყვართ მასთან საუბარი, მისი სიტყვა სადაა და მიმზიდველი, როგორც შინაარსით, ასევე ფორმით, გულწრფელობით და პიროვნული თვისებებით.

ბატონი დემური ადამიანებთან უშუალო ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭით არის დაჯილდოებული, ზედმიწევნით დახვეწილი, ალალ-მართალი, კაცთმოყვარე, ყურადღებიანი და მიმტევებელი. მას მინიშნება არ სჭირდება შენი გაჭირვების გათავისებისთვის. იგი გვერდში მდგომი, ჭირში – შეუდარებელი ჭირისუფალი და შემწე, ლხინში კი საოცარი მასპინძელია.. უაღრესად მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვების მიმართაც. ეს ის პიროვნებაა, რომელსაც საქვეყნო საქმის კეთება ყოველთვის ცხოვრების მიზნად აქვს გადაქცეული.

კომპანია „არქეოპოლისში“ თავისი მოღვაწეობა ბატონმა დემურმა საწარმოს მართვის ახალი სისტემის ჩამოყალიბებით დაიწყო. იგი ხშირად ადგილზე ასწავლიდა თანამშრომლებს დისპეტჩერულ მართვას, სადღეღამისო გრაფიკების შედგენას და შესრულებას, შექმნა სამშენებლო ინდუსტრიის მსხვილი და მცირე მექანიზაციის საშუალებები და ბაზები. შედეგმაც არ დააყოვნა, სრულდებოდა გეგმები, ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადები, მკვეთრად გაუმჯობესდა შესრულებული სამუშაოების ხარისხი. დღესაც ის დიდ შემართებას და მაღალ აქტივობას ინარჩუნებს.

ცხოვრება გზაა – შეგვაგონებენ ძველი ბერძნები. მართლაც, ჩვენი ცხოვრების განმავლობაში უამრავ ადამიანთან გვიხდება ურთიერთობა, ზოგი უკვალოდ იკარგება, ზოგთან ხანგრძლივი დამოკიდებულება გვიყალიბდება. ამათგან ერთეულები ქმნიან მეგობრობის წრეს, რომლებიც ჭირსა და ლხინში უანგაროდ ჩვენს გვერდით არიან, გვაძლევენ იმედს, გვილამაზებენ ცხოვრებას. მათგან ღვთისგან გამორჩეულია ბატონი დემური, რომელსაც ერთიანად აქვს გათავისებული სამამულო, საქვეყნო ინტერესები და მოყვასის სიყვარული. მასში პიროვნულად არის შერწყმული დიდსულოვნება, კეთილშობილება, მეგობრისადმი უანგარო სიყვარული. მისი ცხოვრების დანიშნულება და დევიზია სამაგიეროს მოუთხოვნელად ადამიანისთვის სიკეთის კეთება. მას ერთნაირად უყვარს ბავშვობისდროინდელი, სტუდენტობის პერიოდის და შემდეგ, ცხოვრების ქარტეხილებში შეძენილი მეგობრები, საზოგადოებაში მათი ადგილისა და თანამდებობის მიუხედავად. იგი მართლაც სამაგალითო პიროვნებაა, თავისი განვლილი გზით, ცხოვრების წესით, ადამიანური თვისებებითა და მორალით. ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რამდენი დახმარება აქვს გაწეული ავადმყოფი ადამიანებისთვის, მეგობრებისთვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, სტუდენტებისთვის, მაგრამ, რაც მთავარია, არავის ამადლის ამ ქველმოქმედებას და სიკეთეს ისე აკეთებს, თითქოს არც არაფერი მომხდარა...

„რასაცა გასცემ შენია!“ – აი, მისი ცხოვრების მთავარი დედააზრი.

დიდი საწარმოო გამოცდილება, გაცნობიერებული პროდუქტიული სამეცნიერო მოღვაწეობა, მაღალი ჰუმანიზმი განაპირობებს მისადმი სიყვარულსა და პატივისცემას მოსახლეობის ფართო ფენებში. იგი მეგობრობის ჭეშმარიტი ბურჯია, გაჭირვებულთა შემწე, ნიჭიერთა მხარდამჭერი ახალგაზრდების გზის გამკვალავი.

„სანამ ჯანი და ღონე შემრჩენია, არ დავზოგავ თავს ჩვენი ქვეყნის სასახურში“ – ამბობს ბატონი დემური და დღენიადაგ იმაზე ფიქრობს, რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანოს საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.

გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ბატონ დემურს პრაქტიკულად ყველასგან გამოარჩევს ჭეშმარიტი ღვთისნიერი უნარი, აკეთოს დიდი, მასშტაბური საქმეები, თანაც, ხალისით, შემოქმედებითი აღტყინებით აიყოლიოს ადამიანები და მიაღწიოს სასურველ შედეგებს. ის მუდამ ჩართულია სამუშაო პროცესში, სულ მოძრაობაშია. მასთან გამუდმებით მოდიან პრობლემებით დატვირთული ადამიანები ნუგეშის, დახმარებისა და მფარველობის სათხოვნელად. დღეს ასეა, რვა ათეული წლით მხარდამჭიმებული, მაინც ჭაბუკივით გამოიყურება, უწინდებურად ხალისიანი, შესანიშნავი მეგობარი და მეოჯახეა. ბატონი დემურის ოჯახში მოკრძალებული სუფრაც კი ხშირად ქცეულა ზნეობის, აკადემიურობის, სიტყვიერებისა და დროსტარების ბრწყინვალე ნიმუშად. დემური ხომ ლაღი, იუმორით სავსე, გამორჩეული მასპინძელი და თამადაა.

ბატონი დემურ გადელია ორჯერ იყო არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრად, რვა წლის მანძილზე ის თავის მდიდარ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას ახმარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პრობლემების გადაწყვეტას. ახლა, როდესაც პარლამენტში მისი მოღვაწეობის პერიოდს ვაანალიზებთ, გამოვყოფთ უმთავრეს ღირსებას – ადამიანისთვის ბრძოლას და ადამიანურობის გადარჩენაზე ზრუნვას. მისი მოღვაწეობა სახელმწიფომ ღირსეულად დააფასა. ის დაჯილდოებულია ორდენებით, მედლებითა და საპატიო სიგელებით, როგორც კარგი ორგანიზატორი და სამეურნეო მუშაკი. არის ღირსების ორდენის ორგზის და წმინდა ნიკოლოზის ორდენის კავალერი.

სიყვარული, რომლითაც შემოსეს მისმა მეგობრებმა ბატონი დემური, სრულად შეესაბამება ამ პიროვნების ღვაწლს, მის შემოქმედებით გზას და მის მიერ აღსრულებული საქმეების მასშტაბებს. ბედნიერებაა მასთან მეგობრობა. იუბილარს ვიცნობთ, მრავალი ათეული წელია და მთელი ამ დროის განმავლობაში დემურ გადელია „არ წყვეტს“ ჩვენ აღტაცებას და გაკვირვებას თავისი საქმიანობით. მისი მეგობრები ვაფასებთ მას, როგორც არა მხოლოდ სამაგალითო წარმოების ხელმძღვანელს, არამედ, როგორც არაჩვეულებრივად თბილ პიროვნებას, რომლისგან ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ.

ბატონი დემურ გადელია ცოცხალი მაგალითია მაღალი ზნეობის, მამულიშვილობისა და მოქალაქეობისა, ჭეშმარიტი ქრისტიან-მართლმადიდებელი, სამშობლოსა და ოჯახის უზომოდ ერთგული, მეგობრებისა და კოლეგებისთვის თავდადებული, შესაშური მეუღლე, მამა და ბაბუაა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ქალბატონ ნელის, მისი მეუღლის და თანამოაზრის უდიდესი წვლილი დემურის ესოდენ დიდ წარმატებებში (სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინათ ის გარდაიცვალა). რაოდენ სასიამოვნოა ისიც, რომ ვაჟიშვილი დავითი მამის ტრადიციებს აგრძელებს.

ასე მოვიდა ბატონი დემური თავის მღელვარე ცხოვრების მე-80 წელთან. ღმერთმა ქნას, ერისა და ქვეყნის აქტიურ მსახურს მომავალშიც დიდხანს ევლოს ჩვეული ენერგიითა და მუხლჩაუხრელობით.

ჩვენ., დემურის მეგობრები, ყოველთვის სიამოვნებით და თამამად ვლაპარაკობთ მის დიდ ადამიანურ ღირსებებზე, დახვეწილ კულტურაზე, სამაგალითო კაცთმოყვარეობაზე. იგი ყოველთვის ცდილობდა, მისი წილხვედრი ცხოვრებისეული გზა უშეცდომოდ გაევლო. ამიტომაა მისი ბიოგრაფია შეუბღალავი, ქვეყნისთვის მოღვაწეობა – სასიკეთო, წრფელი და საინტერესო.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ ბატონ დემურ გადელიას ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ სურვილს, ჩვეული მხნეობა და შემართება მომავალშიც შეენარჩუნებინოს, რათა კვლავ თავდაუზოგავად ეღვაწოს მისთვის საფიცარი საქართველოს სასიკეთოდ.

გვეყოლე მხნედ და ჯანმრთელად!

უახლოესი მეგობრები: ვიტალი ხაზარაძე, ნოდარ ზაზაძე, ამირან გამყრელიძე, ნიკო ლეკიშვილი, ვახტანგ ყოლბაია, ედუარდ სურმანიძე, ბონდო ჯიძია, თამაზ ცანავა, გურამ გუნავა, ბაკურ გულუა, ჯამბულ წულაია, პეტრე ბერაია, გურამ ძაშაკაშვილი, რანი ჭაბუკიანი, მალხაზ ლომიძე, ზამირ მაჩიტიძე, მელორ ტყეშელაშვილი, დავით ბენიძე, ავთანდილ იაშვილი, ვახტანგ კიკნაძე, ივერი ჭელიძე, ბესო კილასონია, გოგი ბოჭორიშვილი, გია ციხისთავი, ელიზბარ ლომინაძე, თემურ კალანდაძე, საველ მარსაგიშვილი, ზაზა სიორიძე, გივი შუღაროვი, სპარტაკ ქობულია.

„ფაინენშალ თაიმსი“: საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ კრიზისს რუსეთის აგრესიის გამოწვევა შეუძლია

ამ სათაურით სტატიას „ფაინენშალ თაიმსი“ აძვეყნებს.

„საქართველოს პრეზიდენტი აფრთხილებს მსოფლიოს, რომ რუსეთის ბრძოლა კორონავირუსის გავრცელებასთან და ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც ამძაფრებს ნავთობის ფასების დაცემა, აჩენს კრემლის ახალი აგრესიის საფრთხეს მის საზღვრებს გარეთ“, — წერს გავლენიანი ბრიტანული გამოცემა.

საქართველოს პრეზიდენტს ამის მაგალითად მოჰყავს 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია, რის შედეგადაც საქართველომ საკუთარი ტერიტორიის 20 პროცენტი დაკარგა. **„სალომე ზურაბიშვილი ამბობს, რომ შიდა პრობლემები რუსეთში, როგორც წესი იწვევს საგარეო აგრესიას და არა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების გადახედვას ან თანამშრომლობას“,** — ნათქვამია სტატიაში.

„პანდემიისა და ნავთობის კრიზისი, შესაძლოა, პოლიტიკური სიტუაცია, ყველაფერმა ამან შეიძლება, უბიძგოს, წაახალისოს რუსეთი აგრესიისკენ, რათა მან აჩვენოს უპირატესობა საზღვრებს გარეთ. როგორც საქართველოს პრეზიდენტს, იმედი მაქვს, რომ ამჯერად ასე არ მოხდება და შესაძლოა, კრიზისმა აჩვენოს რუსეთის მმართველობას, რომ მათი პრობლემების გადაჭრა სხვა გზით არის შესაძლებელი“, — ამბობს სალომე ზურაბიშვილის „ფაინენშალ თაიმსთან“ საუბრისას.

სტატიაში ნათქვამია, რომ **„სალომე ზურაბიშვილის განცხადება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, პანდემიის მიერ შექმნილ ახალ დინამიკას და არაპროგნოზირებად გარემოს შავი ზღვის რეგიონში, სადაც რუსეთი სამხედრო წარმომადგენლობას აძლიერებს და დასავლეთის ქვეყნებთან და თურქეთთან გავლენისთვის იბრძვის“.**

ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა იმედგაცრუება გამოხატა, რომ კრემლმა არ გამოიყენა შესაძლებლობა, რომელიც მოსკოვს პანდემიამ მისცა, რათა ოკუპირებულ აფხაზეთში რაკეტებისა და რადარების განლაგების გადაწყვეტილება უკან გაეწვია.

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონზე საუბრისას ზურაბიშვილმა მწუხარება გამოთქვა, რომ ქვეყანამ პანდემიის დროს ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები მოქალაქეებისთვის სრულყოფილი დახმარების გაწევა ვერ შეძლო.

„ჩვენ ვერ შევძელით, იმ დახმარების გაწევა, რაც შეგვეძლო. სეპარატისტული მთავრობა კი უფრო ძაბავდა ურთიერთობებს, რათა ყველაფერი გაეკონტროლებინა. რუსეთის მხრიდანაც ვერ დავინახეთ შეცვლილი მიდგომა. ჩვენ ვერ ვნახეთ გამჭვირვალობა პანდემიის დროს“, — ამბობს სალომე ზურაბიშვილი.

კიმ ჩენ ინი საჯაროდ გამოჩნდა

ბოლო სამ კვირაში პირველად ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი საჯაროდ გამოჩნდა. ქვეყნის ხელმძღვანელმა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური სამხედრო კომიტეტის სხდომა გამართა. შეხვედრა ეროვნული თავდაცვის ძალების გაძლიერების საკითხს ეძღვნებოდა. კიმ ჩენ ინმა ასევე ისაუბრა შიდა და საგარეო პოლიტიკის საშუალებით ბირთვული ომის არ დაშვებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სხდომის თარიღი არ სახელდება, ქვეყნის ოფიციალურმა საინფორმაციო სააგენტომ კიმ ჩენ ინის ფოტოები და 23 მაისით დათარიღებული ბრძანებები გამოაქვეყნა. 2 მაისს კიმ ჩენ ინი, 20-დღიანი გაუჩინარების შემდეგ, სასუქის ქარხნის გახსნის ცერემონიაზე გამოჩნდა. 21 აპრილს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის მძიმე მდგომარეობაშია, 25 აპრილს New York Post-მა დაწერა, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერი „ვეგეტატიურ მდგომარეობაშია“. კიმ ჩენ ინის „კვლავ გაუჩინარების“ შესახებ 13 მაისს New York Post-ი წერდა.

ბაიდენი ტრამპს აკრიტიკებს

აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე „დემოკრატიული პარტიის“ კანდიდატმა, ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა თეთრი სახლის ლიდერი დონალდ ტრამპი გააკრიტიკა.

„100 000-მდე ამერიკელი გარდაიცვალა, ათობით მილიონმა კი სამსახური დაკარგა. ამ დროს პრეზიდენტი გოლფს თამაშობს“, — წერს ბაიდენი ტვიტერზე.

CNN-ის ინფორმაციით, ტრამპმა გოლფი ვირჯინიის ქალაქ სტერლინგში ითამაშა. ტელეარხის ცნობით, გოლფის თამაშისას ტრამპსა და მის პარტნიორებს პირბადეები არ ეკეთათ.

გამოსცადეს ლაზერული იარაღი

ამერიკელმა სამხედროებმა უპილოტო საფრენი აპარატის გასანადგურებლად ლაზერული იარაღი გამოსცადეს. იარაღი 16 მაისს შეამოწმეს. დანადგარი აშშ-ის სატრანსპორტო-სადესანტო ხომალდ „პორტლანდზე“ განათავსეს, რომელიც პერლ-ჰარბორის ბაზის მახლობლად იმყოფებოდა.

პენტაგონის მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში ნათელი სხივი და ცეცხლმოკიდებული უპილოტო საფრენი აპარატი ჩანს. აშშ-ის სამხედროებმა ლაზერული იარაღი არაერთხელ შეამოწმეს, მაგრამ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მოწყობილობა მფრინავი აპარატის წინააღმდეგ ზღვაში შემოწმდა.

აშშ-მა „ღია ცის“ შესახებ შეთანხმების დატოვების მიზეზთა შორის სოხუმისა და ცხინვალისკენ ფრენების ბლოკირებაც დაასახელა

აშშ-მა „ღია ცის“ შესახებ შეთანხმებიდან გასვლის მიზეზები დაასახელა. მათ შორის, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების სიახლოვეს ფრენების აკრძალვაც იხსენიება.

„რუსეთმა არ დაუშვა წვდომა სადამკვირვებლო ფრენებზე მის მიერ ოკუპირებულ ქართულ რეგიონებთან — აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, მისი საზღვრების გასწვრივ არსებული 10-კილომეტრიანი დერეფნის ფარგლებში, რითაც შეეცადა, „გაეტანა“ ცრუ განცხადებები იმის შესახებ, თითქოს ეს ოკუპირებული ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენს“, — ნათქვამია სახელმწიფო მინისტრ მაიკ პომპეოს განცხადებაში.

მანამდე განცხადება იმის შესახებ, რომ აშშ „ღია ცის“ შესახებ შეთანხმებას ტოვებს, პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციამ გაავრცელა. ხელშეკრულებიდან გასვლის კიდევ ერთ მიზეზად „რუსეთის მიერ შეთანხმების არაერთხელ დარღვევა“ დასახელდა. ამერიკელი მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ შეთანხმებიდან გასვლას 6 თვე დასჭირდება.

მოსკოვის რეაქცია

საპასუხოდ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, **რომ აშშ-ისგან ოფიციალური შეტყობინება ჯერ არ მიუღია, თუმცა შეთანხმებიდან ამერიკის შეერთებული შტატების გასვლა „ევროპაში სამხედრო უსაფრთხოების სისტემას მიაყენებს დარტყმას“.**

რუსეთის მიმართ ყველა ბრალდებას ოფიციალურმა მოსკოვმა ტრადიციულად, უსაფუძვლო უწოდა.

რას წარმოადგენს „ღია ცის“ შესახებ შეთანხმება?

1992 წელს ჰელსინკში გაფორმებული ეს დოკუმენტი ხელმომწერ სახელმწიფოებს შორის ერთმანეთის ნებართვით სამხედრო-სადაზვერვო ინფორმაციის ლეგალური გზით მოპოვებას ითვალისწინებს.

შეთანხმება ძალაში 2002 წელს შევიდა და მას შემდეგ წევრი ქვეყნები ერთმანეთის ნებართვით ხელმომწერი სახელმწიფოების ტერიტორიებზე ე.წ. საკონტროლო ფრენებს ახორციელებდნენ.

„ღია ცის“ შესახებ შეთანხმება არაწევრი ქვეყნების ტერიტორიების თავზე ფრენებს კრძალავს.

დოკუმენტს 35 ხელმომწერი ჰყავს, მათ შორის, საქართველო, რუსეთის ფედერაცია და თურქეთი.

რა შუაშია საქართველოს ოკუპირებული რეგიონები?

შეთანხმების ფარგლებში საქართველო და რუსეთი დაზვერვის მიზნით პერიოდულად ახორციელებდნენ ფრენებს ერთმანეთის, ასევე სხვა ხელმომწერი ქვეყნების ტერიტორიებზე. **რუსეთის ტერიტორიის თავზე ბოლო ასეთი ფრენები საქართველომ 2008 წლის ომამდე, ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში ამერიკელ კოლეგებთან ერთობლივად განახორციელა.**

აგვისტოს ომისა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებელ რესპუბლიკებად“ აღიარებიდან ორი წლის შემდეგ — 2010 წელს, მოსკოვმა ხელმომწერ ქვეყნებს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით სადაზვერვო ფრენების შეწყვეტა მოსთხოვა და ეს შეთანხმების მეექვსე პუნქტის მეორე ქვეპუნქტით ახსნა, რომლის თანახმად, ხელმომწერ სახელმწიფოებს ხელშეკრულების არაწევრი სახელმწიფოების საჰაერო სივრცეებში ფრენების განხორციელების უფლება არა აქვთ. **ამჟამად ფრენები 35-ივე სახელმწიფოში ბლოკირებულია და რუსეთი ამაში საქართველოს ადანაშაულებს.**

სტოლტენბერგი: „რუსეთი არღვევდა შეთანხმებას, საქართველოს საზღვრების სიახლოვესაც“!

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრმა ქვეყნებმა ახლახან, „ღია ცის“ შესახებ შეთანხმების ირგვლივ არსებული ვითარება განიხილეს. როგორც ალიანსის გენმდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებაშია აღნიშნული, „რუსეთი შეთანხმებას არღვევდა, მათ შორის, საქართველოს საზღვრების სიახლოვეს“.

„წლების განმავლობაში მოსკოვი ზღუდავდა ფრენებს, მათ შორის, კალინინგრადის ოლქისა და საქართველოსთან რუსეთის საზღვრების სიახლოვეს მდებარე ტერიტორიების თავზე, რაც წინააღმდეგობაშია შეთანხმების დებულებებთან. რუსეთის მიერ შეთანხმების განგრძობადი შერჩევითი შესრულება ძირს უთხრის „ღია ცის“ შესახებ შეთანხმებას. მრავალი წლის განმავლობაში, მათ შორის ნატოს უმაღლესი რანგის წარმომადგენლების ზედიზედ რამდენიმე შეხვედრაზე ალიანსის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები რუსეთს შეთანხმების სრულად შესრულებისკენ მოუწოდებდნენ. აშშ აცხადებდა, რომ რუსეთი შეთანხმებას არღვევდა, ახლა კი ამერიკამ, დოკუმენტის დებულებების შესაბამისად, 6 თვეში შეთანხმებიდან გასვლის განზრახვის შესახებ განაცხადა. ამასთანავე შეერთებულმა შტატებმა ამ გადაწყვეტილების გადახედვის შესაძლებლობა არ გამორიცხეს, თუ რუსეთი დოკუმენტის სრულად შესრულებას დაუბრუნდება“, — ნათქვამია განცხადებაში.

როგორც სტოლტენბერგი აღნიშნავს, ნატოს ქვეყნები ურთიერთქმედებენ რუსეთთან მის მიერ უმოკლეს ვადებში შეთანხმების შესრულების დასაწყებად

„ჩვენ კვლავინდებურად ღია ვართ რუსეთთან დიალოგისთვის ნატო-რუსეთის საბჭოს ფორმატში სამხედრო რისკების შემცირებისა და ტრანსპარენტულობის საკითხებზე. ამავდროულად ვაგრძელებთ შეიარაღების კონტროლის, არგავრცელებისა და განიარაღების პრინციპების, როგორც ჩვენი უსაფრთხოების საკვანძო ელემენტების დაცვას, მხარდაჭერასა და მათ შესრულებაზე კონტროლის გაძლიერებას“, — ნათქვამია სტოლტენბერგის განცხადებაში.

ᲞᲐᲕᲚᲔ ᲘᲜᲒᲝᲠᲝᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲗᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

ᲞᲐᲕᲚᲔ ᲘᲜᲒᲝᲠᲝᲧᲕᲐ უდავოდ დიდი და გამორჩეული პიროვნებაა ყველა დროის ქართველ მეცნიერ-სწავლულთა თუ საზოგადო მოღვაწეთა შორის. მე იგი XX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ხატადაც მესახება. აი, იმ საქართველოსი, რომელმაც თავისი სამოცდაათწლიანი ბრძოლა 1991 წლის 9 აპრილს, ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲒᲚᲝᲒᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲗ დააგვირგვინა და დღემდე არ აპირებს, დათმოს მონაპოვარი: აბჯრის შემოლეწვის მიუხედავად, დღესაც იბრძვის და ხვალაც, როცა ქართველთა ახალი თაობა ახალი ძალით აღიმართება რიცხვმრავალი და ვერაგი მტრის პირისპირ, – ხელახლა შეუდგება ხმალთა კვეთებას.

პავლე ინგოროყვა ქართული ნონკონფორმიზმის სიმბოლოცაა: ის ყოველთვის იმგვარად აზროვნებდა და წერდა, როგორც ჭეშმარიტ მეცნიერ-სწავლულსა და საზოგადო მოღვაწეს შეჰფერის – ობიექტურად, არგუმენტირებულად და შესაშური აკადემიურობით. არადა, მაშინ სულ სხვაგვარი, ერთობ უცნაური თუ უკუღმართი ხანა იდგა: ვინც „ძლიერთა იმა ქვეყნისათა“ გუნდრუკს არ უკმევდა, წინსვლის კი არა, სიცოცხლის შანსიც უცებ გაუქრებოდა. გუნდრუკის მკმეველთ კი, ცხადია, ყოველგვარი ობიექტურობა, არგუმენტები და აკადემიურობა უნდა დაევიწყებინათ - სხვაფრივ, არაფერი გამოუვიდოდათ. ბევრი შეეცადა, შეწინააღმდეგებოდა, არ დანებებოდა უშნო დროებას, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ პავლე ინგოროყვა აღმოჩნდა ბოლომდე უტეხი და გადაარჩინა კიდეც ნამდვილი ქართული მეცნიერული აზრი.

„ხეთურ-ქართველური მსოფლიო, ხეთური იეროგლიფური დამწერლობა და ხეთურ-ქართველური (თობელ-მესხური) ენა“ პავლე ინგოროყვას ერთ-ერთი, ჯერაც გამოუქვეყნებელი ნაშრომია, რომელიც **ქართველმა** მწერალმა და მეცნიერმა **როსტომ ჩხეიძემ** შესანიშნავად მიმოიხილა თავისი ლინგვისტური რომანის **„უარგონი და მეტსახელი, და კიდევ ტოპონიმიკა და ხეთური სამყარო“** მეოთხე თავში: **„პავლე ინგოროყვა და ხეთების პრობლემა“**. ასე რომ, მე ამჯერად, პავლე ინგოროყვას ნააზრევის როსტომ ჩხეიძისეული ხედვის შესახებ მინდა ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ. აქვე დავძენ იმასაც, რომ რაკიღა ლინგვისტურ **რომანზე** მექნება საუბარი, ვამჯობინებ, ეს ჩემი ნაწერიც თუ რომანივით არა, ნოველასავით მაინც იკითხებოდეს.

უპირველეს ყოვლისა, ის მინდა ვთქვა, რომ ბატონი როსტომის თხზულების სათაურიც ზუსტად იმგვარადვე ნონკონფორმისტულ-მეამბოხურად ჟღერს, როგორც პავლე ინგოროყვას იმ ჯერაც გამოუქვეყნებელი ნაშრომისა: **„უარგონი და მეტსახელი, და კიდევ ტოპონიმიკა და ხეთური სამყარო“** - ჩვენ, საბჭოთა საქართველოში დაბადებულ თაობას, გვასწავლიდნენ, რომ „და“ კავშირის წინ მძიმე არ იწერება; იმასაც გვეუბნებოდნენ, რომ „და“ კავშირის მიყოლებით გამოყენება არაა სასურველი, მაგრამ მაშინ არავის უთქვამს მთავარი: **ისე უნდა ვწეროთ, რომ მკაფიოდ გამოვხატოთ ჩვენი გულისნადები.** ჰოდა, როდესაც ზედმიწევნით ცდილობ, რომ დაწესებულ ჩარჩოებში ჩაჯდე, გულისნადებს ისე ვეღარ გამოხატავ, როგორც გინდა და ვერც იმას მიაღწევ, რომ მკითხველმა შენი ნაფიქრ-ნააზრევი გაითავისოს. პავლე ინგოროყვა, უკვე ვთქვი, – ამგვარ ჩარჩოებში არ ჯდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ შესაშურად აკადემიური და მოქნილი ენით წერდა. ზუსტად ასეა ბატონი როსტომ ჩხეიძეც, რომელმაც მისი ლინგვისტური რომანის განხილვისას (როცა აწინდელ ნაწერ რეცენზიებს მოხსენებებად ვკითხულობდით), პირდაპირ ბრძანა: **„საბჭოთა პერიოდში დაკანონებული ქართული პუნქტუაცია ძირეულად უნდა შეიცვალოს!..“** მართალია: **სჯობს, განვითარდეთ და ჟამთა სვლას არ ჩამოვრჩეთ.**

მეორე ნიშანდობლივი ენობრივი თავისებურება (მე **ხომ მაინც ენათმეცნიერი ვარ**), რაც ბატონი როსტომის ნაწერებს ზოგადად ახასიათებს, **მყოფადის ხოლმეობითს** უკავშირდება: „კიდეც დაიცლებოდა ხოლმე ის პორტფელი დიდებულ წიგნებად, დიდ შესწავლას რომ მოითხოვდა...“ და ა.შ. ამ ხერხით, იგი კარგ საშუალებას აძლევს მკითხველს, რომ თავადვე, საკუთარი წარმოსახვის შესაძლებლობებით წარმოიდგინოს მთელი სურათი – **რა და როგორ იქნებოდა**. ბევრი დამეთანხმება, რომ მართლაც, ასეთ შემთხვევაში **იქნებოდა** უფრო მოქნილი და სურვილს უკეთესად მისადაგებული ფორმაა, ვიდრე გაცილებით იმპერატიული **იყო** – მე, მაგალითად, როსტომ ჩხეიძის თხზულებებს იმიტომაც ვკითხულობ დიდი სიამოვნებით, რომ ამ ენობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, ჩემს წარმოსახვას მეტი ასპარეზი ეძლევა.

თუმცა ლინგვისტური რომანის **„უარგონი და მეტსახელი, და კიდევ ტოპონიმიკა და ხეთური სამყარო“** მეოთხე თავში მყოფადის ხოლმეობითი მხოლოდ **მინაწერებშია** თავის ადგილას (ანუ ისე, როგორც ბატონ როსტომს სჩვევია), რადგან ტექსტის მეტი ნაწილი მაინც სამეცნიერო გამოკვლევაა - რეცენზია პავლე ინგოროყვას ნაშრომზე, რომელსაც გამოქვეყნება დღემდე არ ეღირსა: როგორც უკვე აღვნიშნე, მას სათაურიც ისეთი აქვს, რომ საბჭოთა დროის წითელ ინტელიგენციას კი არა, „ლიბერალებად“ გადანათლულ მათ მემკვიდრეებსაც რომ კაი გვარიანად დააფრთხობს - **„ხეთურ-ქართველური მსოფლიო, ხეთური იეროგლიფური დამწერლობა და ხეთურ-ქართველური (თობელ-მესხური) ენა“**... აბა, როგორია? ტექსტი რომც არ მოსდევდეს, მაინც უკვე ნათქვამია, რანი ვიყავით, ვისი გორისანი და ჯერ კიდევ როდიდან ვცდილობდით, კაცობრიობის ისტორიაში ჩვენი კვალი დაგვეტოვებინა...

ჰოდა, საქმე ისაა, რომ პავლე ინგოროყვას ამ ყველაფრის გამოკვლევა ზუსტად ოთხმოცი წლის წინ - 1939 წელს არსებითად დასრულებულიც ჰქონდა და ნაშრომად ქცეულიც.

როგორც როსტომ ჩხეიძე გვაუწყებს, „უამრავი იეროგლიფის კლიშეთა დამზადებას (რაც ტექნიკურად ბევრნაირ სიძნელესთან იყო დაკავშირებული) წიგნის გამოცემა რომ არ დაებრკოლებინა, პავლე ინგოროყვა „ხეთური იეროგლიფური დამწერლობის“ გამოცემას ფოტოტიპური სახით აპირებდა და მისი წიგნების მუდმივმა გრაფიკოს-გამფორმებელმა, მეგობარმა მხატვარმა ლადო გრიგოლიამ მთელი გამოკვლევა გადაწერა და იეროგლიფები გადახატა. ამით ერთი მიზეზი იოლად მოგვარდა, მაგრამ მოულოდნელად წარმოიშვა სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები, ნაკლებად ნაკარნახევი მეცნიერული ინტერესით - და წიგნი გეგმიდან ამოაგდეს“.



არადა, პავლე ინგოროყვას აღნიშნული ნაშრომი იმხანად რომ გამოცემულიყო, ქართული ენათმეცნიერება (და მით უფრო, **ხეთოლოგია**) გაცილებით უფრო მაღალ დონეზე იქნებოდა, ვიდრე დღესაა. ამის თქმის საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, იძლევა ნაშრომის სტრუქტურა: „მისი კომპოზიციური აგებულება მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა დაიწეროს ენის გრამატიკა თვით იეროგლიფური დამწერლობისაც კი, როგორ თანდათან და ძალდაუტანებლად, მისთვის ჩვეული უბადლო სტილით შევყავართ ავტორს ამ, ერთი შეხედვით, ჩვენთვის უცნაურ სამყაროში“ - ბრძანებს ბატონი როსტომი.

აქვე აღსანიშნავია, რომ ქართველ მეცნიერთა შორის პავლე ინგოროყვა არ ყოფილა პირველი, ვინც ხეთური ენისა და დამწერლობის საკითხებით დაინტერესდა – 1924 წელს, სტამბოლის (იმ პერიოდში, ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის) ქართველ კათოლიკეთა სავანის სტამბაში **მიხეილ წერეთლის** ცნობილი მონოგრაფია: **„ხეთის ქვეყანა. მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“** დაიბეჭდა, მაგრამ სწორედ იმ დროს, საქართველოში ისეთი არეული ვითარება იყო, რომ ძნელი წარმოსადგენი გახლდათ, ამ წიგნს მეცნიერთაგან ფართო გამოხმაურება ხვდომოდა წილად. აი, აქედან გამომდინარე, პავლე ინგოროყვას **გაწითლებულ საქართველოში** ნამდვილად მოუწია პირველობამ ხეთოლოგიის დარგში. საყურადღებო სწორედ ის არის, რომ წინამორბედებისაგან განსხვავებით, მან შეძლო ქართველურ და ხეთურ სამყაროთა ნათესაობის დამტკიცება უტყუარი, მყარი არგუმენტების მოშველიებით.

და აქ ისევ ბატონ როსტომს დავესესხები: „ხეთას მსოფლიოს ქართული ეთნიკური ჯგუფის თობელ-მესხების მთავარღვთაებას ეწოდებოდა „ღალთუ“ ან „ღალდუ“. ეს ღვთაება ცნობილი იყო ხეთას მსოფლიოს გარეთაც, თობელ-მესხების მეზობელ ტომებშიც; ვთქვათ, ურარტუელთა პანთეონის მთავარი ღვთაება იყო იგივე „ღალთუ“ // „ღალდუ“, რომელსაც ურარტუელები უწოდებდნენ იმავე სახელს, ოდნავი ფონეტიკური ცვლილებით „ხალდ“...

დღეს დადგენილია (იხ. ტარიელ ფუტკარაძე, „ქართველები“ I, თბილისი, 2005, გვ. 182-183), რომ ამავე ფუძის კიდევ ერთი ფონეტიკური ვარიანტი – „ქართუ“ – საფუძვლად უდევს ქართველთა თვითსახელწოდებას: **ქართუ-ელ-ი** – „ქართუს // ღალთუს // ღალდუს // ხალდის ჩამომავალი/მიმდევარი“. არსებითად, იგივეა ასევე, ***ღმართ- (< *ღუართ < *ღართუ)**, საიდანაც წარმოსდგება ფორმა „ღმერთი“ და ა.შ.

მაშასადამე, პავლე ინგოროყვა ოდნავაც არ ცდებოდა, როდესაც ხეთურ სამყაროს ქართველურის მონათესავედ, ანდა უფრო უკეთ, წინაპრად აცხადებდა. ისიც ნათელია, რომ სწორედ ამგვარი, უტყუარი არგუმენტების გამო ვერ იხილა მისმა მონოგრაფიამ დღის სინათლე: საბჭოთა კავშირის მესვეურებს (სწორედ ისე, როგორც მათ დღევანდელ მემკვიდრეთ) კონიუნქტურაზე მორგებული ზღაპრები უფრო სჭირდებოდათ, ვიდრე ობიექტური, არგუმენტირებული კვლევები.

საბოლოოდ, მე ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ პავლე ინგოროყვას გამოუქვეყნებელი ნაშრომი **„ხეთურ-ქართველური მსოფლიო, ხეთური იეროგლიფური დამწერლობა და ხეთურ-ქართველური (თობელ-მესხური) ენა“** აუცილებლად უნდა გამოიცეს (და მჯერა, უეჭველად ასეც იქნება დღეს თუ ხვალ); როსტომ ჩხეიძეს კი ამ მოკლე წერილშიც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იმისთვის, რომ თავის **ლინგვისტურ რომანში** (რომელიც, თავის მხრივ, უდავოდ ახალი სიტყვაა ქართულ ლიტერატურაში), მეტად საინტერესოდ და მრავალფეროვნად დაგვანახა პავლე ინგოროყვაც და მისი ხეთური სამყაროც.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲚᲐᲑᲐᲫᲔ,
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

ᲮᲣᲓᲐᲓᲝᲕᲘᲡ ᲬᲧᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲓ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲛᲝᲑᲐᲓᲘ ᲤᲘᲭᲕᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲭᲠᲔᲑᲐ

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ დაავადებული და ხმობადი ფიჭვების სანიტარიული ჭრის პროცესი გრძელდება. თბილისის მერიის ინფორმაციით, დაავადების გავრცელების პრევენციის მიზნით, 200-მდე ფიჭვის ხე, 25 მაისს, ხუდადოვის ტყის მიმდებარედ არსებულ ფერდობებზე მოიჭრება, მათ ნაცვლად კი ჯანსაღი ხეები დაირგვება. „თბილისის მერიის ინიციატივით, დაავადებული ფიჭვების მდგომარეობა საერთაშორისო ექსპერტებმა შეისწავლეს. მსგავსი ტიპის კვლევა საქართველოში პირველად ჩატარდა. სპეციალისტებმა ლაბორატორიული კვლევები ევროკავშირში აკრედიტებულ ლაბორატორიაში ჩაატარეს. მათი ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი დაავადების გავრცელების პრევენცია და ჯანსაღი კორომების გადარჩენა იყო.

კვლევით დამტკიცდა, რომ ფიჭვის ხეებზე გავრცელებულია ორი სახეობის მავნებელი (**Tomicus Destruens, Tomicus Piniperda**), რომელიც მათ ხმობას იწვევს. შესაბამისად, დედაქალაქსა და მის შემოგარენში მასშტაბური სანიტარიული ჭრების განხორციელება აუცილებელი გახდა.

სანიტარიული ჭრები დედაქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე ეტაპობრივად გაგრძელდება. სამუსაოებს შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“ განახორციელებს“, – ნათქვამია თბილისის მერიის განცხადებაში.

◎ ფეხბურთი

ქეცბაიას ენდობიან

ფამაგუსტას „ანორთოსისის“ პრეზიდენტი ხრისტო პულაიდისი თემურ ქეცბაიას ენდობა. მან კვიპროსულ მედიასთან ინტერვიუში კლუბის სამომავლო მიზნებზე ისაუბრა და მკაფიოდ განაცხადა, რომ ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც ქართველი მწვრთნელი მოითხოვს.

მოგეხსენებათ, იქაური ჩემპიონატი დასრულდა (ფედერაციის გადაწყვეტილებით) და „ანორთოსისს“ მეორე ადგილთან ერთად, მომდევნო სეზონში ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური ერგო.

— სეზონის წინ არავინ ელოდა, რომ „ანორთოსისს“ საჩემპიონო ამბიცია ექნებოდა, მაგრამ საბოლოოდ ფავორიტებში აღმოჩნდით...

— ჩვენ არ გვაინტერესებს სხვები რას ფიქრობენ, მთავარია, ჩვენ რას ვფიქრობთ. სეზონის წინ ქეცბაიამ მკაფიოდ განაცხადა, რომ მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებდით. მიმაჩნია, რომ არა სეზონის შეწყვეტა, ასეც იქნებოდა.

— როგორი გეგმა გაქვთ ახალ ფეხბურთელთა, ასევე გაყიდვებთან დაკავშირებით?

— რასაც მწვრთნელი მოითხოვს, ისე იქნება. გულწრფელად ვამბობ, რომ არ ვიცი და არ მაინტერესებს, ეს ჩემთვის მთავარი არაა. გუნდში ყველა თავის საქმეს აკეთებს.

— პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო „ანორთოსისის“ ბიუჯეტი რამდენად შემცირდება?

— ისეთი იქნება, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ მივაღწიოთ ჩვენს მიერ დასახულ მიზნებს.

გიორგი ზოთაძე

◎ ხუთი რგოლი

ან გაისად, ან არასოდეს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი თომას ბახი არ გამორიცხავს, რომ ტოკიოს ოლიმპიადა საერთოდ გაუქმდეს.

IOC-ის ხელმძღვანელის განცხადებით, ყველაზე მასშტაბური სპორტული თამაშები ან 2021 წელს ჩატარდება, ან გაუქმდება და მისი კიდევ ერთხელ გადადება გამორიცხულია.

„მზად უნდა ვიყოთ სხვადასხვა სცენარისთვის. მესმის, რომ იაპონიასაც არ შეუძლია ოლიმპიადის კიდევ ერთხელ გადადება და ეს ბოლო შანსია. არ შეგვიძლია ყველა ფედერაციის მსოფლიო კალენდარი ყოველწლიურად შევცვალოთ და სპორტსმენები გაურკვევლობაში ვამყოფოთ. არსებობს აშკარა ნება, რომ თამაშები მომდევნო წლის ივლისში ჩატარდეს, მაგრამ ჩვენ ყველა სცენარი უნდა გავითვალისწინოთ, მათ შორის მოთამაშეთა კარანტინიც“, — თქვა ბახმა BBC-ისთან.

შეგახსენებთ, რომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშები 2021 წლის 23 ივლისისთვის გადაიდო.

ბეჟან დოლიძე

◎ ჭადრაკი

2021 წელს - მოსკოვში

საჭადრაკო ოლიმპიადა წელს აღარ მოეწყობა.

მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის ზაფხულში რუსეთის ქალაქ ხანტი-მანსიისკში უნდა ჩატარებულიყო საჭადრაკო ოლიმპიადა, თუმცა, კორონავირუსთან დაკავშირებით, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდე) მიიღო გადაწყვეტილება, ეს შეჯიბრება 2021 წელს მოსკოვში გაიმართოს.

„ჩვენ, უპირველესად მოჭადრაკეთა ჯანმრთელობას ვანიჭებთ უპირატესობას. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ოლიმპიადის გადატანა ერთი წლით“, — ნათქვამია ფიდეს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

სწავლა სიბერემდე

კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის ფონზე „მსოფლიო რაგბმა“ 11 მაისიდან მაღალი მიღწევების ვირტუალური აკადემია აამუშავა, რომელიც 7 მიმართულებას მოიცავს და რომელშიც 14 ქართველი სპეციალისტი ჩაერთო.

სემინარში მთავარი მწვრთნელებისთვის საქართველოდან **ლევან მაისაშვილი** („ბორჯღალოსნები“) და **ილია მაისურაძე** („უმცროსი ბორჯღალოსნები“) მონაწილეობენ. 14 სექტემბრის ჩათვლით, მათ 10 ონლაინ-ჩართვა ექნებათ და პარალელურად მოუწევთ დავალებების შესრულება.

მწვრთნელთა ვირტუალურ აკადემიაში ეგრეთწოდებული ტიერ2-ის 17 ქვეყნის ნაკრებების მწვრთნელია გაერთიანებული, სემინარებს კი მსოფლიოს მასშტაბით აღიარებული სპეციალისტები ატარებენ.

პირველი ონლაინ-სემინარი სკოტ ვაისმენტალმა და დევიდ ჰეთფილდმა გამართეს. ვაისმენტალს შეტევის მწვრთნელობის 21-წლიანი გამოცდილება აქვს. მას უმუშავია სამოასა და იაპონიის ნაკრებებში, 2016 წელს ავსტრალია XV-ის მთავარი მწვრთნელი გახლდათ ფრანგი „ბარბაროსების“ წინააღმდეგ, 2019 წლის მსოფლიო თასზე იყო ინგლისის ეროვნული ნაკრების შეტევის მწვრთნელი, 2020 წლიდან კი ავსტრალიის ნაკრების შეტევის კონსულტანტია. ის ედი ჯოუნსის კადრად აღიქმება, ხოლო ჰედფილდი მსოფლიო რაგბის ფსიქოლოგია.

დაცვის სემინარს „სარასენისა“ და ინგლისის ნაკრების ყოფილი, ამჟამად „ჰარლიქუინის“ მწვრთნელი პოლ გასტარდი ჩაატარებს; რაქის სემინარს ავსტრალიელი ლორი ფიშერი, რომელიც წლებია „ბრამბისის“ შერკინების მწვრთნელია, 2014-2017 წლებში კი „გლოსთერის“ მთავარი მწვრთნელი იყო; შეტევის სემინარი ექნება ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ედი ჯოუნსს, რომელსაც დიდი წარდგენა არ სჭირდება; დერეფანზე — ინგლისის ნაკრების შერკინების მწვრთნელი 2015-2020 წლებში და ამჯამად „ლესთერ თაიგერსის“ მთავარი მწვრთნელი სტივ ბორტვიკი; შერკინებაზე — „ოლ ბლექსის“ შერკინების მკვრელი მიკ კრონი; ასევე მსოფლიო რაგბის მაღალი მიღწევების კონსულტანტი კელვინ მორისი.

ასეთი დონის სპეციალისტებისგან გამოცდილების გაზიარებით კმაყოფილი არიან ვირტუალურ აკადემიაში ჩართული ქართველი მწვრთნელები:

ლევან მაისაშვილი: „ამ ტიპის სემინარები აქამდეც ტარდებოდა და მასზე დასასწრებად სამხრეთ აფრიკაში, სტელენბოშში გვიწევდა ჩასვლა. პანდემიის ფონზე მსოფლიო რაგბმა ონლაინ გადაწყვიტა მისი ჩატარება, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი და უდავოდ საინტერესოა. უკვე გვქონდა პირველი სემინარი. გადმოგვიგზავნეს მასალა, რომელსაც გავეცანით, რის შემდეგაც გვქონდა 1-საათიანი ჩართვა და განხილვა. ვისაუბრეთ სამწვრთნელო სპეციფიკაზე. ხდება თემის გაშლა და სემინარში ჩართული ყველა მონაწილე მის ირგვლივ გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას“.

მიმაჩნია, რომ ნებისმიერი დონის მწვრთნელს მუდმივად სჭირდება აზრების გაზიარება, ცოდნის გაღრმავება. ამ დისკუსიებში ბევრი საინტერესო აზრი იბადება და ყველა იღებს ბენეფიტს, მით უმეტეს, რომ ამ სემინარებში მსოფლიო მასშტაბით წონადი მწვრთნელები არიან ჩართული და საინტერესო თემებია. ინგლისის ნაკრებთან ურთიერთობიდან გამომდინარე, პრაქტიკულად ყველა მწვრთნელს ვინობ და ყველასთან მქონია შეხება, გარდა მიკ კრონისა და ლორი ფიშერისა. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა მაქვს პოლ გასტარდთან, რომელიც „სარასენისის“ დაცვის სისტემას უზრუნველყოფდა“.

ილია მაისურაძე: „ძალიან კარგია, მსოფლიო რაგბმა ამ ვითარებაში ასეთი გამოსავალი რომ მოიფიქრა. საინტერესო წამყვანები არიან. სკოტ ვაისმენტალის სემინარზე აქამდეც ვყოფილვარ და საინტერესო პიროვნებაა. პირველი დღე უფრო გაცნობითი ხასიათის იყო და მივიღეთ დავალებებიც, მეორე ჩართვა კი 25 მაისს გვექნება. ცოდნის მიღება და პროფესიონალი მწვრთნელების გამოცდილების გაზიარება ყოველთვის საინტერესოა, მით უმეტეს, რომ სემინარებს ინტერაქტიური სახე აქვს.

სემინარში ჩართულია რაგბის ფსიქოლოგი, რომელიც მწვრთნელებთან მუშაობს. მიღებულ ცოდნას არა მხოლოდ 20-წლამდელთა ნაკრებში ჩემი გუნდის მწვრთნელებს, არამედ ყველას გავუზიარებ, ვისაც ამისი სურვილი ექნება. დარწმუნებული ვარ ამ პერიოდში ბევრ სიახლეს გავიგებ, რაც მომავალში ქართულ რაგბის გამოადგება“.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

სარას ნათება



მის „აზია გლობალი“, ჩემპიონი ტაეკვანდოში, მოდელი და სატელევიზიო სახე. ამ ყველა პროფესიის მფლობელი ულამაზესი სარა დამიანოვიჩია — ახალგაზრდა ტაეკვანდოელი სერბეთიდან.

სარას ინსტაგრამზე „სულ რაღაც“ 578 ათასი მიმდევარი ჰყავს, მაგრამ თავის პირად გვერდზე მომნუსხველი ფოტოებისა თუ ვიდეოების გამოქვეყნება მისი საყვარელი ჰობია.

ტაეკვანდო ოლიმპიური სახეობაა და მართალია სარას ჯერ ოლიმპიური ოქროსთვის არ მიუღწევია, მაგრამ სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე წარმატება არ აკლია და დრო ძალიან ბევრი აქვს ოლიმპიური ოქროს მედლისთვის. სხვათა შორის, მისი ვარჯიშისთვის თვალის მიდევნება ვიდეოში შეგიძლიათ. პარალელურად წარმატებულია სამოდელო საქმიანობაში და სერბეთის ტელევიზიის პოპულარული სახეცაა. ინსტაგრამში თავის ცხოვრებას აღწერს: სიყვარული, ცხოვრება, ბედნიერება. ბედნიერებას, რომელიც ალბათ თაყვანისმცემლებსაც ეუფლებათ, როდესაც მომხიბლავი სარას წარმოუდგენელ ფოტოებს უყურებენ.

როსტომ რაჭველიშვილი

გამოთხოვება

დაუნერელი სახელმძღვანელო ყველა პატიოსანი ადამიანისთვის...

სიმონ (სიომა) მაჭავარიანის გარდაცვალების გამო

დადგა ჩვენი ორმოცდაათწლიანი მეგობრობის შეწყვეტის დრო. დრო ხანმოკლე იქნება, რადგან იქ უჩემოდ და აქ უშენოდ გაგვიჭირდება არსებობის გაგრძელება.

რა მრჩება მე და რა რჩება საზოგადოებას სიომას ცხოვრებიდან?

კარგი ოჯახი, შესანიშნავად აღზრდილი შვილები და შვილიშვილები.

გვრჩება ყველასგან განსხვავებული სიმონის ცხოვრების წესი და ხსოვნა მისი შინაგანი ბუნებისა.

სიომა უაღრესად განათლებული, პრინციპული, შრომისმოყვარე, მეგობრული, უღალატო, იუმორითა და სარკაზმით დაჯილდოვებული პიროვნება გახლდათ.

ბევრმა ჩვენმა მეგობარმა იცის, მაგრამ მთელ ქვეყანას უნდა გავაგებინო სიომას მრავალმხრივი იუმორის ძალა და მნიშვნელობა. ის არ ხუმრობდა სიცილისთვის, ის სიმართლის საზოგადოებამდე დაყვანის ამ მოხერხებულ ხერხს ხმარობდა.

რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ:

1. გარდაბნის რაიკომიდან პროკურორმა (სიმონ მაჭავარიანმა) წერილი მიიღო: ვინმე პატიმარ „№“-ის საპატიმრო საქმე გამოგზავნეთ რაიკომშიო. წერდა პროკურორს რაიკომის მეორე მდივანი.

პროკურორმა წერილს რეზოლუცია გაუკეთა: — „სასწრაფოდ უზრუნველყავით საქმის რაიკომში გადაგზავნა“. ქაღალდის მეორე ფურცელზე კი თბილისის ციხის უფროსზე წერილი გაამზადა და ხელიც მოაწერა, სადაც ნათქვამი იყო“ — „პატიმარ „№“-ის საპატიმრო საქმე პარტიის რაიკომმა წაიღო, შესაბამისად, „პატიმარ „№“-იც რაიკომს გადაურიცხეთ“.

ასეთი რამ იურისპრუდენციაში არ მომხდარა და საქმის გასარკვევად საპატიმროს უფროსმა ცეკას ადმინისტრაციულ განყოფილებას მიმართა, პროკურორის წერილის თანხლებით. შედეგი იმით დასრულდა, რომ დღის ბოლოს რაიკომის მეორე მდივანი და პროკურორი ცეკას სამდივნოზე იყვნენ გამოძახებული.

ეს შემთხვევა გახდა საფუძველი, რომ ამ ფაქტის შემდეგ რაიკომი საპატიმრო საქმეებში აღარ ჩარეულიყო.

2. სიმონ მაჭავარიანი ლენინის სახელობის რაიონის პროკურორია, თბილისის პროკურორის ნანიტაშვილის განკარგულებით ლენინის რაიონის პროკურატურამ დაარღვია საპატიმრო ვადები, რომელიც ხელმძღვანელი პირების ყურამდე მივიდა. ნანიტაშვილს დაავალეს დამნაშავის ადმინისტრაციული წესით დასჯა, მაგრამ ნანიტაშვილმა იცოდა, რომ ეს მისი დანაშაული იყო და არა პროკურორის, ამიტომ მაჭავარიანის დასჯას არ ჩქარობდა, ვიდრე ეს საქმე მივიწყებას არ მიეცემოდა. დადგა ზაფხული. ქალაქის პროკურორი დასასვენებლად გაემგზავრა, მაგრამ დავალება მაჭავარიანის მსუბუქად დასჯის შესახებ მის პირველ მოადგილეს თამაზ... დაავალა პირველივე კოლეგიაზე. პირველივე კოლეგიაზე მეგობარმა მეგობარი გამოიძახა დასასჯელად, რომელსაც გარკვევით თავისი დარღვევა წაუკითხეს. სიომამ კატეგორიულად უარყო წაყენებული დარღვევა და იქით შეუტია კოლეგიის წევრებს. ბატონი თამაზი არწმუნებდა, რომ ეს მის ინტერესებში არ შედიოდა, რომ ეს ნანიტაშვილის დანაბარები იყო.

სიმონის გაბრაზებამ კულმინაციას მიაღწია, თამაზის და სხვა კოლეგიის წევრებს „შეულრინა“: — „ლენინის დანაბარებს არ ასრულებთ, ფეხებზე იკიდებთ და ნანიტაშვილის დანაბარები რაღაა?“. კოლეგია ამით დამთავრდა, მაგრამ მეტი უკანონო თხოვნა სიომასთვის არავის გაუბედია, რადგან ორივე შემთხვევა მთელი კავშირის იურიდიულმა სამყარომ გაიგო.

3. მთელი ჩემი სანათესავო სვანეთიდან თბილისში ბინაზე მომადგა, იმის სათხოვნელად, რომ კანონიერი ქურდი, ჩვენი სანათესაოს სიძე, გარდაბნის პროკურატურას დაუჭერია ჯგუფურ ყაჩაღობაზე და მე ჩემ მეგობარ — სიომა მაჭავარიანისთვის მეთხოვა მისი გამოშვება.

რა თქმა უნდა, ვიცოდი თხოვნა ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული, მაგრამ ნათესავების ხათრით თბილისიდან გარდაბანში ჩავედი. პროკურორთან შეუფერხებლად შევიყვანე ექვსი სვანი „პროტექტორი“ ჩემი მეთაურობით.

სიომას ავუხსენი მისვლის მიზეზი. ჩემი ნათესავები კარგად მიიღო, ყველას ხელი ჩამოართვა და მოიკითხა. შემდეგ გაკვირვებულმა იკითხა: სად იპოვეთ ეს ნაძირალა, რომ სიძედ გაიხადეთ? და სხვა უამრავი „ლამაზი“ სიტყვებით შეამკო სიძე ბატონი.

გრიშა — ხომ იცი, გინდ შენი ახლობელი დამიჭერია და გინდ ჩემი, ორივე ჩემთვის ერთნაირია, მაგრამ ეს ისეთი ნაძირალაა, რომ გავუშვა, სახლშიც არ წავა. მე ვუთხარი — შენ ოღონდ გაუშვი და სახლში როგორ ვერ წავიყვან, მაგას დაინახავ. სიომამ ირონიულად ჩაიცინა, სელექტორს თითი დააჭირა და ჩასძახა: გუშინ რომ ნაძირალა მოიყვანეს, ჩემთან ამოათრიეთო.

კაბინეტში ჩვენი სიძე შემოიყვანეს. არავის მოგვსალმებია, პირდაპირ პროკურორის მაგიდას მიუჯდა, მაგიდის მეორე მხარეს მე ვიჯექი. — „შე ნაძირალა ამდენი ხალხი რომ შეაწუხე და ამ უპატიოსნეს ხალხს და გვარს, რომ სახელს უტეხ, არა გრცხვენია? რა ვუყო ამათ, ესენი ჩემი ახლობლები არიან, ეს კი ჩემი ძმაა, მიუთითა ჩემზე. ჩადი ეხლავე გამომძიებელთან და ჩვენება მიეცი, რომ იმ ყაჩაღობაზე შენ იქ არ ყოფილხარ. ჩაუჯექი გრიშას მანქანაში და სახლში წაეთრიე. შენს მეგობრებს კი ჯგუფურ ყაჩაღობას მოვუხსნი“.

ჩემი ნათესაობა წამოიშალა და სიომას კოცნა დაუწყეს ასეთი დიდი დახმარებისთვის, მაგრამ სიომა ხელით იცილებდა ჩემს ნათესავებს, ბოლოს, ბოლოსო... ამბობდა და თითქოს რაღაცის მოლოდინში იყო.

არეული ხალხი თავის ადგილებზე დაჯდა. კანონიერმა ქურდმა კი პროკურორს შემდეგი სიტყვებით მიმართა: — „მოქალაქე პროკურორო, მე კანონიერი ქურდი ვარ, და უფლება არ მაქვს ჩემი „პადელნიკები“ საპატიმროში დავტოვო და მე „სვაბოდაზე“ გავიდე. მე ამას ჩემი დაუწერელი კანონი მიკრძალავს. ან ერთად გაგვიშვი ან მეც მათთან ვიქნები. სახტად დარჩენილ ჩემს ბიძაშვილებს სიომამ ღიმილით გადახედა და მიმართა: — „მე ამ ნაძირალის გულისთვის დაწერილი კანონი უნდა დავარღვიო და ამას თავისი და თავისი „პადელნიკებისთვის“ დაუწერელი კანონის დარღვევა არ უნდა“. სელექტორს ისევ თითი დააჭირა და უფრო ხმამაღლა ჩასძახა, ჩაეყვანათ თავის ადგილზე. მეტი სიტყვა აღარ გაგვიგრძელებია, თბილად გამოემშვიდობნენ ჩემი ბიძაშვილები სიომას, ხოლო სიძე ბატონმა სრულად მოიხადა 10 წელი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში.

ასე განუსაზღვრელად, დიდი და მიუწვდომელი იყო ჩემი ულამაზესი მეგობარი არა მარტო ჩემთვის და თავის მეგობრებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, მისი ყოველი სიტყვა და იუმორი დაუწერელი სახელმძღვანელო იყო ყველა პატიოსანი და საქმის ერთგული ადამიანისთვის.

მშვიდობით ჩემო ძვირფასო ძმაო, შენზე კიდევ ბევრ რამეს დავწერ მომავალში.

აქაც და იქაც შენი ძმა
გრიშა ონიანი

სანთელი

თენგიზ, ქეთინო, ქეთი ქავთარაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამორჩეული პიროვნების

სიმონ (სიომა) ვახტანგის ძე მაჭავარიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

მოსამართლემ ნიკოლოზ ბასილაშვილს 100 000-ლარიანი გირაო შეუფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ყოფილი მეუღლის ცემის ბრალდებით დაკავებულ ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეუფარდა.

„საქმეში მტკიცებულებები არ არსებობდა. ბასილაშვილის მხრიდან ძალადობა არ ყოფილა, რამაც ასახვა ჰპოვა მოსამართლის გადაწყვეტილებაში და გირაოს შეფარდებაში. პროკურატურამ რა თქვა, არ მაინტერესებს, ნიკოლოზ ბასილაშვილის მდგომარეობიდან

გამომდინარე კომენტარს არ ვაკეთებ“, — განაცხადა ადვოკატმა ირმა ჭკადუამ. პროკურატურა ჩოგბურთელისთვის აღკვეთის სახით პატიმრობას ითხოვდა.

საქართველოს პროკურატურამ ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე ბასილაშვილს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ ძალადობას გულისხმობს.

* * *

ნიკოლოზ ბასილაშვილის ინტერესების დამცველის მალხაზ **სალაყაიას განცხადებით, ნიკოლოზ ბასილაშვილი არ აღიარებს დანაშაულს, რადგან ძალადობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.** ამასთან, როგორც ადვოკატი აცხადებს, საქმეში არსებულ ჩვენებაშიც არსად წერია, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილმა მეუღლეზე იძალადა.

საკუთარ ქალაქს რომ ჭის ხუფებს მოპარავ!..

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი ორი პირი: 1981 წელს დაბადებული მ.მ და 1990 წელს დაბადებული ჯ.მ. ქურდობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მ.მ. და ჯ.მ. ქალაქ რუსთავში, ერთ-ერთი ქუჩაზე, სანიაღვრე ჭის ხუფებს უკანონოდ დაეუფლნენ. სამართალდამცველებმა ორივე პირი იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი ნაქურდალ ხუფებთან ერთად, ავტომანქანით მიმალვას ცდილობდნენ. პოლიციამ ბრალდებულების მიერ უკანონოდ დაუფლებული სანიაღვრე ჭის 2 ხუფი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

სს „სხმულის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

აქციონერებს „სხმულის“ საწესდებო კაპიტალში მათი წილის ფულად კომპენსაციასთან დაკავშირებით შეუძლიათ მიმართონ ადმინისტრაციას შემდეგ ტელეფონებზე: 599536607 (დირექტორი), 599466650 (ბუღალტერი).

დირექცია

ჩამოსულ ტურისტებს რთული პროცედურის გავლა მოუწევთ

ტურიზმი გაცოცხლებისთვის ემზადება. პირველი ეტაპისთვის, სავარაუდოდ, მეზობელი ქვეყნები დაიწყებენ საქართველოს მიმართულებით გააქტიურებას, თუმცა უკვე ევროპული სახელმწიფოებიც ინტერესდებიან. არ არის გამორიცხული, უნგრეთმა ყველას დაასწროს და საქართველოში პირველი ვიზიტორები სწორედ ამ ქვეყნიდან შემოვიდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩამოსულ სტუმრებს საკმაოდ რთული პროცედურის გავლა მოუწევთ.

ეკონომიკის მინისტრის ნათია თურნავას ინფორმაციით, უნგრულმა ავიაკომპანიამ „ვიზეარი“, რომელიც საქართველოს ბაზარზეც ოპერირებს, მზადყოფნა გამოხატა, რომ ტურისტების შემოყვანა უნგრეთიდან დაიწყოს. ევროპული პრესა უკვე წერს, რომ საქართველო ტურიზმის მიმართულებით ცდილობს, პირველი ევროპული ქვეყანა გახდეს, რომელიც ტურისტებს უმასპინძლებს. ეს, რასაკვირველია, დადებითი მომენტია, მაგრამ აქ ჩამოსული უცხოელებისთვის პროცედურები მარტივი არ იქნება.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის **პაატა იმნაძის** განცხადებით, ისეთი წესები იქნება ჩამოსული ტურისტებისთვის, რომ პრაქტიკულად, ისინი კარანტინში აღმოჩნდებიან.

საკითხზე ისაუბრა ცენტრის ხელმძღვანელმა **ამირან გამყრელიძემაც** და აღნიშნა, რომ ტურიზმის მიმართულებით რისკი არსებობს, თუმცა კორონავირუსი დიდხანს არ გაქრება და ამიტომ ინფექციასთან თანაცხოვრების პრინციპები უნდა ჩამოყალიბდეს. მთელ მსოფლიოში, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნებში დაინფიცირებულების საქართველოზე გაცილებით მეტი რაოდენობაა დაფიქსირებული, ყველა ქვეყანა ამსუბუქებს თანდათან შეზღუდვებს. ჯერჯერობით ნებისმიერმა ორგანიზაციამ, კერძომ თუ სახელმწიფომ, იქნება ეს ტურიზმის ადმინისტრაცია თუ კერძო ასოციაციები, რაც არ უნდა მარკეტინგული კამპანია აწარმოონ, არ იქნება ეფექტური. „ჯორჯიას“ დამფუძნებლის **ვატო ასათაშვილის** თქმით, უპირველეს ყოვლისა, ეს ხდება იმიტომ, რომ არავინ იცის, რა მოლოდინი იქნება.

„წლევანდელი წელი იქნება მთლიანად სატესტო, აქედან გამომდინარე, სატესტო წელს ვერანაირ მასშტაბურ კამპანიას ვერ აწარმოებ, იმიტომ რომ არ ვიცით, მოლოდინი რა არის. ამას გარდა, ძალიან დიდია უნდობლობა, არა მხოლოდ ქვეყნისადმი, არამედ საერთოდ ტურიზმისადმი“, — აღნიშნა „ბიზნეს მედიასთან“ ასათაშვილმა.

პირველი ეტაპისთვის, სავარაუდოდ, მეზობელი ქვეყნები დაიწყებენ ტურისტულ აქტივობას, ანუ რეგიონში დაიწყება ტურისტული მიმოსვლა.

ეკა ბაძრაძე

იერუსალიმში მაცხოვრის საფლავის ტაძარი გაიხსნება

ტაძარი მომლოცველებს 24 მაისიდან მიიღებს. ასეთი გადაწყვეტილება ბერძნული მართლმადიდებლური, კათოლიკური და სომხური ეკლესიების ხელმძღვანელებმა წმინდა მიწაზე ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუმჯობესების შემდეგ მიიღეს.

პირველ ეტაპზე ბაზილიკაში შესვლას მაქსიმუმ 50 ადამიანი შეძლებს. ამის უფლება მხოლოდ ჯანმრთელ ადამიანებს ექნებათ. პირბადის ტარება აუცილებელი იქნება. ამასთან მორწმუნეებს ორმეტრიანი დისტანციის დაცვა და ფიზიკური კონტაქტისგან და სიწმინდეებთან შეხებისგან თავის შეკავება მოუწევთ. ტაძარი კორონავირუსის გამო 25 თებერვალს დაიხურა.

ქრისტიანებმა მუსლიმებს სალოცავად ტაძარი დაუთმეს

ბერლინის ლუთერანულმა ეკლესიამ კარი გაუღო მუსლიმ მლოცველებს, რომლებიც სოციალური დისტანცირების წესების გამო მეჩეთებში ვეღარ ლოცულობენ. გერმანიამ რელიგიური მსახურება 4 მაისიდან დასაშვები გახადა, სოციალური დისტანცირების წესების დაცვის პირობით, რაც მინიმუმ 1.5-მეტრიანი დისტანციის დაცვას გულისხმობს.

„შედეგად, ბერლინის ნოიკელნის რაიონში მდებარე დარ ასალამის მეჩეთმა მუსლიმი მორწმუნეების მხოლოდ ნაწილის მიღება შეძლო. საპასუხოდ, ბერლინის მართა ლუთერანის ეკლესიამ მუსლიმებს შესთავაზა, რომ პარასკევის ლოცვისთვის, რამადანის დასრულების აღსანიშნავად, მათი სივრცე გამოეყენებინათ. ეს შესანიშნავი სიმბოლური ჟესტია. რამადანს სიხარული მოაქვს ასეთი კრიზისის პირობებშიც კი. პანდემიამ ჩამოგვაყალიბა, როგორც საზოგადოება და გაგვაერთიანა“, — განაცხადა მეჩეთის იმამმა ლუთერანული ეკლესიის ქმედების კომენტირებისას.

შერიმ სპილო იხსნა



პაკისტანის სასამართლომ დაადგინა, რომ დედაქალაქ ისლამაბადის ზოოპარკში სპილოს, სახელად ქაავანის უფლებები ირღვეოდა.

რამდენიმე წლის წინ ცნობილი გახდა, რომ ზოოპარკში სპილო ჯაჭვით ჰყავდათ მიბმული და გადაადგილებას უზღუდავდნენ. 2016 წელს ამერიკელმა მომღერალმა შერიმ წამოიწყო კამპანია, რომლის ფარგლებშიც, შეაგროვეს 200 ათასზე მეტი ხელმოწერა და პაკისტანის ხელისუფლებას ცხოველის გათავისუფლების მოთხოვნით მიმართეს. საქმეზე დაიწყო სასამართლო მოკვლევაც. **„ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო მომენტია“,** — დაწერა მომღერალმა Twitter-ის საკუთარ გვერდზე, როდესაც სპილოს გათავისუფლების შესახებ გაიგო. შერი პაკისტანის მთავრობას მადლობას უხდის.

თაღლითი მერი

პერუს ერთ-ერთ პროვინციაში, ქალაქის მერი კუბოში ჩაწვა და თავი მკვდრად გაასაღა, რათა პოლიციას კარანტინის დარღვევისთვის არ დაეკავებინა.

ინციდენტი 18 მაისს მოხდა. ტანტარას მერი ხაიმე როლანდოურბინა ტორესი მეგობრებთან ერთად სვამდა, როცა ადგილზე შემოწმების ჩატარების მიზნით ეროვნული პოლიციის აგენტები გამოჩნდნენ. მერმა სასჯელის თავის ასაცილებლად კუბოში ჩაწოლა გადაწყვიტა, პოლიციელებს მკვდარი რომ ჰქონოდათ. ტორესის მაგალითს მისი მეგობრებიც მიყვნენ. თუმცა სამართალდამცველების მოტყუება მეგობრებს არ გამოუვიდათ. ტორესი და მისი მეგობრები დაიკავეს. ადგილობრივები აღნიშნავენ, რომ ტორესი კორონავირუსის საფრთხეს სერიოზულად არ აღიქვამს.

ორსახიანი კნუტი

აშშ-ში, ორეგონის შტატში კატას ორსახიანი კნუტი გაუჩნდა. კნუტის დედის პატრონებმა მას ბისკიტს ენდ გრეი დაარქვეს. ისინი პატარას უვლიან და მის გასხვისებას არ აპირებენ. მათივე თქმით, კნუტს ორივე პირით შეუძლია ჭამა.

ჩვეულებრივ, ორსახიანი კატების სიცოცხლის ხანგრძლივობა ხანმოკლეა, თუმცა ყველაზე ასაკოვანმა ასეთმა კატამ 15 წელი იცოცხლა. ბისკიტის ოჯახი ოპტიმისტურად არის განწყობილი და იმედი აქვთ, რომ პატარა მათთან ერთად დიდხანს და ბედნიერად იცოცხლებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1916; ევრო - 3.4795;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8845;
100 რუბლი - 4.4459; თურქული ლირა - 0.4689;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8725;
1000 სომხური დრამი - 6.5939.

ამინდი 25 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +9, დღე +22
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +18
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +18
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +17
თბილისი: ღამე +12, დღე +18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge